ლედ იქნება განმარტებული ტექნიკური ტერმინები. ტერმინოლოგია უნდა დაიხვეწოს და გამარტივდეს, განახლდეს და შეივსოს ახალი ტერმინებით, ხოლო მოძველებული ტერმინები და ე.წ. ტერმინთა ბუდეები, რომლებიც ამჟამად ტერმინოლოგიას, ამოსადებია.

იმედია, “კანონი სახელმწიფო ენის შესახებ” ხელს შეუწყობს ტექნიკური ტერმინოლოგიის მოწესრიგებას.

სტატიაში განხილულია ტერმინოლოგიაში საერთო ზოგად ტექნიკური ტერმინების განმარტებისა და მათი ე.წ. ბუდეების მიზანშეწონილობის საკითხი.

საკვანძო სიტყვები: აგრეგატი; ბუდე; დანადგარი; მანქანა; მოწყობილობა; ტექნიკური ტერმინოლოგია.

შესავალი

ტერმინოლოგიის დახვეწა და გამარტივება, განახლება და შევსება ტექნიკური პროგრესის განუყოფელი და თანმდევი პროცესია. 21-ე საუკუნე არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ დროს ჩამოვრჩეთ და არ ვიზრუნოთ ენის კანონზომიერ განვითარებაზე, რომლის ერთ-ერთი უდიდესი შემადგენელი ნაწილი სწორედ ტექნიკური ტერმინოლოგიაა. ლექსიკონზე მუშაობას ქვის კოდეკს სჯობსო, უთქვამს ცნობილ ენათმეცნიერს ეუკოლ ბერიძეს და მართლაც, დიდია იმ ადამიანების დამსახურება, რომლებმაც წლების მანძილზე უზარმაზარი შრომა და ენერგია ჩადეს ქართული დარგობრივი ლექსიკონებისა და ახალი ტექნიკური ტერმინების შექმნაში, რითაც დიდი დახმარება გაგვეწია რუსული ტექნიკური სასწავლო ლიტერატურის ქართულით ჩანაცვლების საქმეში.

ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალი გამოცემის მოსამზადებელი სამუშაოები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, როდესაც შეიქმნა სახელმწიფო კომისია აკად. არჩილ ძიძიგურის ხელმძღვანელობით. ამ კომისიაში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სხვებთან ერთად წარმოვადგენდი მეც. ჩემი მოსაზრებები, შეჯერებული მექანიკის სპეციალისტებთან, ეხებოდა მოძველებულ და გამოუყენებელ ტერმინებს, რომლებიც მრავლად დაგროვდა ტექნიკურ ტერმინოლოგიაში. ნაშრომი, რომელიც რამდენიმე ათეულ ტერმინს ეხებოდა, გადავეცი მანქანათა მექანიკის ინსტიტუტს, საიდან სხვათა ნაშრომებთან ერთად კომისიაში უნდა მოხვედრილიყო. როგორც ცნობილია, ტერმინოლოგიის კომისიის მუშაობა შეწყდა და დღემდე არც ახალი სახით განახლებულა.

ტექნიკური პროგრესის არნახულმა შემოტევამ უკიდურესად გააუარესა ქართული ენის, ზოგადად და ტექნიკური ტერმინოლოგიის ნორმატიული სტანდარტები. მკვეთრი ტერმინო-

ლოგიური ცვლილებები განიცადა მეცნიერების თითქმის ყველა დარგმა და ინფორმატიკის სფერომ. როგორც არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. ა. არაბული აღნიშნავს, “თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში და განსაკუთრებით ბოლო 10-12 წელიწადში ყველაფერი გაკეთდა იმ ფორმალური ინსტიტუციების საბოლოოდ მოსაშლელად, რომელთაც ნაწილობრივ მაინც შეეძლოთ პრობლემასთან გამკლავება”.

2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი “სახელმწიფო ენის შესახებ”, რომლის მიხედვითაც “ტექნიკური დოკუმენტაციისა და საქმის წარმოებაში გამოიყენება ერთიანი ტერმინოლოგია. ტერმინოლოგიის დადგენისა და გამოყენების ნორმებს განსაზღვრავს სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისია”.

სამეცნიერო-ტექნიკური ენის კრიზისი აისახა უმაღლესი სასწავლებლების ცალკეულ სახელმძღვანელოებსა და დამხმარე ლიტერატურაში, რაზედაც ჩვენ მიუუთითებდით ადრე გამოქვეყნებულ სტატიებში. იმედია, რომ “კანონი სახელმწიფო ენის შესახებ” ტერმინოლოგიის მოწესრიგებასთან დაკავშირებით შექმნის დასაყრდენს სწრაფი და საჭირო ინსტიტუციური ღონისძიებების განსახორციელებლად.

ამ მეტად საშურ საქმეს უკვე შეუდგა და მოსამზადებელ სამუშაოებს ატარებს არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილება, რომელთანაც უკვე მეორე წელია ვთანამშრომლობ და ტერმინოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ ორ კონფერენციაშიც მივიღე მონაწილეობა. ბედნიერი შემთხვევის წყალობით აქვე აღმოვაჩინე ჩემი ოცი წლის წინანდელი ნაშრომი, რომელიც კორექტირდება და მუშავდება აღნიშნული განყოფილების თანამშრომლების მიერ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 55 წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის

პერიოდში, როდესაც მუშაობა მიწევდა სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის სტატიების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადებაზე, ბევრი შენიშვნა და სურვილი დამიგროვდა ტექნიკური ტერმინოლოგიის მიმართ. ამავე დროს, მოყვარულის დონეზე ვაწარმოებდი ტექნიკურ სასწავლო ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინების კვლევას და შედეგად გამიჩნდა სურვილი და მოთხოვნა, თავიდან ბოლომდე ყურადღებით ჩამეკითხა ტექნიკური ტერმინოლოგიის ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ნაწილები, რამაც გამიყვანა გარკვეულ მოსაზრებებზე ტექნიკური ტერმინოლოგიის სტრუქტურული აგებისა და ზოგიერთი ტექნიკური ტერმინის შესაბამისობის თვალსაზრისით. ამის თაობაზე მე მოვახსენე ზემოთ ხსენებულ კონფერენციაზე (23.09. 2016 წ.) და ახლა გამომაქვს მკითხველის სამსჯავროზე.

ძირითადი ნაწილი

უპირველესად თვალში მოსახვედრია საერთო, ზოგადი ტერმინების ე.წ. ბუდეების სიმრავლე და მოცულობა ტექნიკურ ტერმინოლოგიაში. თუ მიზნად დავისახავთ, რომ ნებისმიერი ტექნიკური საშუალება თავისი კონსტრუქციულ-დანიშნულებითი მაჩვენებლებით უნდა მოხვდეს მხოლოდ ერთი ტერმინის ბუდეში, არაფერი გამოგვივა. პირიქით, საერთო (ზოგადი) ტერმინების განმარტებებს თუ მოვიშველიებთ, ესა თუ ის ტექნიკური საშუალება ერთდროულად შეიძლება რამდენიმე მათგანს მივაკუთვნოთ. სინამდვილეში ასეც არის ტექნიკური ტერმინოლოგიის ე.წ. ტერმინთა ბუდეებში, თუმცა განმარტებების არარსებობის გამო მკითხველი შეიძლება დაიბნეს და ვერ გაარკვიოს – კომპრესორი ძალური დანადგარია თუ აგრეგატი?

ზემოთ აღნიშნულის გამო ამჯერად, ჩვენი კვლევის საგანია რამდენიმე ტერმინი, კერძოდ: მოწყობილობა; მანქანა; დანადგარი; აგრეგატი. განვიხილოთ მათი განმარტებები სხვადასხვა

დარგის განმარტებითი ლექსიკონის, ენციკლოპედიური გამოცემისა და საცნობარო წყაროს მოშველიებით, ასევე ჩვენეული გაგებით.

1. *მოწყობილობა* – ზოგადი ცნებაა და მოიცავს მანქანების, აპარატების, მექანიზმების, აგრეგატების, დანადგარების, ხელსაწყოების, სამარჯვთარაღების, ჩარხების, დაზგების, ამწე-სატრანსპორტო და მრავალი სხვა ტექნიკური საშუალებების ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია საწარმოს ტექნოლოგიური ხაზების, ქარხნების, საამქროების, კარიერების და სხვათა ასამუშავებლად და პროდუქციის გამოსაშვებად. მოწყობილობას ხშირად აღჭურვილობასაც უწოდებენ, რაც თვით მანქანების, დანადგარების, აგრეგატების და სხვა მოწყობილობათანაც ასოცირდება (მაგალითად, ტრაქტორის სავალი მოწყობილობა, ექსკავატორის მუშა მოწყობილობა). აქედან გამომდინარე, რა შეიძლება მოხვდეს “მოწყობილობის” ბუდეში? – რა თქმა უნდა, ათობით, ათასობით და ათიათასობით ტექნიკური საშუალება, რომელთა ჩამოთვლაც, ცხადია, შეუძლებელია და ჩემი აზრით, სულაც არ არის ამის საჭიროება. რატომ უნდა ეძებდეს მკითხველი ამა თუ იმ ტექნიკურ საშუალებას მოწყობილობის ბუდეში, მაშინ როდესაც მას თავისი ადგილი ექნება ტერმინოლოგიაში. და თუ რომელიმე მათგანი ვერ მოხვდა ბუდეში, ის რა, მოწყობილობა არ არის? ამდენად, “მოწყობილობის” ბუდის არსებობა ჩემთვის მიუღებელია, თუმცა მაგალითის სახით ძალზე მოკლე ჩამონათვალი შეიძლება დაერთოს ტერმინს.

2. *დანადგარი* – გარკვეული დანიშნულების მოწყობილობების ერთობლიობაა, რომელიც ასრულებს რაღაც სამუშაოს და იძლევა პროდუქტს, ენერგიას. მაგალითად, სამსხერვე-სახარისხებელი დანადგარი, მიწისმწოვი დანადგარი, საბურღი დანადგარი და სხვ. «Установка – установленный где-нибудь механизм, приспособление. Заводские установки» [7]. როგორც ვხედავთ, დანადგარი შეიძლება ეწოდოს ნებისმიერ ტექნიკურ საშუალებას ან მათ

ერთობლიობას, დაეყენებულს სადღაც, ქარხანაში ან, დაეუშვათ, კარიერში, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე დამახასიათებელი ნიშან-თვისება (კონსტრუქციული ან დანიშნულებითი) და ამგვარად, მისი ე.წ. “ბუდეც” განწირულია სიმრავლისა და გაუგებრობებისთვის.

3. მანქანა ეწოდება ნებისმიერ მექანიკურ მოწყობილობას, რომელიც გარდაქმნის ენერგიის ერთ სახეს მეორეში და ასრულებს მუშაობას. იგი შედგება კორპუსით ან სადგარით გაერთიანებული ერთი ან რამდენიმე მექანიზმისგან, რომლებსაც აქვთ გარკვეული დანიშნულება – გადაადგილების, მოძრუნების, ტვირთის ასაწევი და სხვ.

დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ ენერგეტიკულ, სამუშაო და საინფორმაციო მანქანებს. ცნობილია მანქანების კონსტრუქციულ-უნიფიცირებული ოჯახი და რიგი. მაშასადამე, “მანქანა” გარკვეულწილად გასაგები და მისაღები ნიშნებით ხასიათდება და მის ე.წ. ბუდეში შეიძლება მოხედეს, მაგალითისთვის, რამდენიმე მანქანა და არაა საჭირო ათიათასობით დასახელების მანქანის შეტანა ბუდეში. და თუ რომელიმე მანქანა ვერ მოხვდა ბუდეში, ის მანქანა არ არის?

4. რაც შეეხება ტერმინს “აგრეგატი” – აქვე შევნიშნავ, რომ მის ე.წ. ბუდეში არის სრული ბუნდოვანება და არეულობა, რაც განპირობებულია თვით აგრეგატის ადგილითა და დანიშნულებით მოწყობილობებსა და კომპლექსებში და არ გააჩნია რაიმე ნიშან-თვისობრივი განმასხვავებელი მახასიათებელი. თვით “აგრეგატის” განმარტებაც განსხვავებულია ავტორთა ლექსიკონებში. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

1. “რთული მანქანა, რომელიც შედგება ერთმანეთთან შეერთებული სხვადასხვა ტიპის რამდენიმე მანქანისგან. მაგალითად, ტრაქტორი და კომბაინი; ტურბოგენერატორი”. [4]

2. ა) Соединение для общей работы двух или нескольких разнотипных машин. Уборочный агрегат (трактор и комбайн);

б) Часть какой-то машины, узел для выполнения определённых операций; узел: часть механизма или механическое устройство, представляющее собой сложное соединение деталей, отдельных частей. [7].

3. а) Унифицированный узел машины (напр. электродвигатель, редуктор, насос), выполняющий определённые функции. Агрегаты обладают взаимозаменяемостью;

б) Несколько машин, работающих в комплексе (машино-тракторный и др.) [3].

ჩამოთვლილი განმარტებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ “აგრეგატი” არ არის რომელიმე კონკრეტული კონსტრუქციისა და დანიშნულების მექანიკური მოწყობილობა, მანქანის ნაწილი ან კვანძი, არამედ ნებისმიერი მათგანი, რომელსაც შეუძლია ჩაანაცვლოს მისი ანალოგი. ამდენად, “აგრეგატის” განმარტებაში მნიშვნელოვანია, რომ “აგრეგატები ხასიათდება ურთიერთშეცვლადობით”.

აღნიშნულიდან გამომდინარე, “აგრეგატის” ბუდის შექმნა მიმართა უაზროდ (გარდა რამდენიმე მაგალითის მოტანისა), მით უმეტეს, რომ ტექნიკურ ლიტერატურაში (მაგალითად, სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების წარმოებაში) ერთი და იგივე მოწყობილობას აგრეგატსაც უწოდებენ და დანადგარსაც. მაგალითად, საფქვავე და სალუმელე აგრეგატები ან საფქვავე და სადუმელე დანადგარები, რომლებიც შედის ცემენტის წარმოების ტექნოლოგიურ ხაზებში [5]; რუბეროიდის დამამზადებელი აგრეგატი (СМА-184) შედგება რამდენიმე დანიშნულების მანქანა-დანადგარისგან (დახვევისგან) [2]. მსხვილი, საშუალო და წვრილი მსხვრევის აგრეგატები [2, გვ. 301...310] სხვა ტექნიკურ ლიტერატურაში [6] განიხილება როგორც მანქანები და მოწყობილობები და ა.შ.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების რამდენიმე ერთად მომუშავე მანქანის ერთობლიობა ქმნის კომპლექსს (მაგალითად, საგზაო მშენებლობაზე) და მას აგრეგატს ვერ ვუწოდებთ. პირიქით, კომპლექსში შეიძლება შედიოდეს რომელიმე აგრეგატი, კერძოდ, უნიფი-

ცირებული ამბრაგი აგრეგატი [1, გვ. 366], აგრეთვე აგრეგატირებული აპარატურის კომპლექტი [1, გვ. 372]. პერსპექტიულია პროგრესული ჰიდრომოწყობილობა აგრეგატული შესრულების ჰიდროტუმბოების (ანუ ურთიერთშეცვლადი [1, გვ. 391] და ა.შ.

ახლა ვნახოთ და გავაანალიზოთ შეძლებისამებრ რას წარმოადგენს ტექნიკურ ტერმინოლოგიაში “აგრეგატის” ეწ. ბუდე.

აგურსაკეთებელი აგრეგატი – თვით დასახელებაც არ არის მიზანშეწონილი, მოძველებულია და ახალი გამოცემის ცნობარში [1, გვ. 226-227; 314; 324] განხილულ ტექნოლოგიურ სქემებში არანაირი “აგურსაკეთებელი აგრეგატი” არ არის ნახსენები. ეს ტერმინი საერთოდ ამოსადგება.

აგტომობილის აგრეგატი – აგტომობილი თავისთავად მანქანაა, მაგრამ აგრეგატიზაციის პროცესში შესაძლოა აგრეგატად მოგვევლინოს. ასევე ითქმის ნებისმიერ სხვა მანქანაზეც.

3. *აირსაშემდუღებლო აგრეგატი* – შედის აგრეთვე “აპარატის” ბუდეში, რაც, ჩემი აზრით, უფრო უპრიანია და მას “აირშემდუღების” აპარატს ეწოდებოდა.

4. *აკუსტიკური აგრეგატი*, სავარაუდოდ, უფრო აგრეგატია, თუმცა სად და რა შეწყვილებით (ან დამოუკიდებლად) გამოიყენება იგი როგორც აგრეგატი, უცნობია.

5. *ამგზნები აგრეგატი* – ბუნდოვანი ტერმინია. თუ საუბარია ვიბრაციის აღმძვრელ მოწყობილობაზე, მაშინ მას ვიბრაციული მანქანა ჰქვია და ფართოდ გამოიყენება სამშენებლო მასალების და ნაკეთობების წარმოებაში [1, გვ. 348...357]. ამასთან, იგი აპარატის ბუდეშიც არის განთავსებული აგზნების აპარატის სახით (возбудительный და возбуждение პრაქტიკულად ერთი და იგივეა). მაშ, რითი განსხვავდება ამგზნები აგრეგატი აგზნების აპარატისგან, გაუგებარია და მკითხველის დაბნევა გამოიწვევს.

აგრეგატის ბუდე საესეა გაუგებარი, დაუკონკრეტებული ტერმინებით, როგორებიცაა: ამოსადგები

ა; გამოსაძახებელი ა; იგნიტრონული ა; ორმანქანიანი ა; სამუხტ ა; უკუძახვის ა; ხაზის ა; ხისტად შეწყვილებული ა; ხლართულბოჭკოვანი ა; ხმა-მადლამოლაპარაკე ა; ჰიდრაულიკური ა; ქერცლოვანი ა; ფართო პირმოდების ა და სხვ.

ცხადია, ბუდეში განთავსებული უმეტესი ტერმინი აგრეგატზე მიგვანიშნებს, მაგრამ მათი აქ წარმოდგენა სულაც არ არის სრული, განმარტებების გარეშეა და მკითხველსაც დააბნევს. მაგალითად, კომპრესორის აგრეგატი. კომპრესორი არის მანქანა – ძალური დანადგარი, მოთავსებული ტერმინოლოგიაში მისთვის განსაზღვრულ ადგილზე და ჩამოთვლილია მისი ნაირსახეობები. აგრეგატად ის მაშინ გადაიქცევა, როდესაც ურთიერთშეცვლადობის პრინციპით მოხვდება აგრეგატიზაციის პროცესში. ასევე ითქმის ყველა სხვა, აგრეგატის ბუდეში ჩამოთვლილ მანქანაზე, ჩარხზე, აპარატზე და სხვ.

ტექნიკური ტერმინოლოგია მოიცავს რამდენიმე საერთო ტექნიკური დასახელების ტერმინს, რომლებსაც თან ახლავს საკმაოდ მოცულობითი ეწ. ბუდეები (აგრეგატი, აპარატი, დანადგარი, მანქანა, მექანიზმი, მოწყობილობა). ტექნიკური საშუალებების სიმრავლე როგორც დანიშნულებით, ასევე კონსტრუქციული შესრულებით განაპირობებს პარალელიზმს მათ განთავსებაში ბუდეებში, ბუნდოვანებას მათ აღქმაში და რაც მთავარია, მკითხველის სრულ დაუინტერესებლობას, რომელ ბუდეში ეძებოს მისი ინტერესის საგანი. მიმაჩნია, რომ ამ ბუდეების გაუქმება ბევრს ვერაფერს დააკლავს ტერმინოლოგიას.

ტერმინოლოგიაში მრავლად გვხვდება უცხოური ტერმინი, რომელსაც არ აქვს ქართული შესატყვისი და ამდენად გაუგებარია მისი მნიშვნელობაც. მაგალითად, გამოდგება ტერმინი “ბრემს-ბერგი”, რომელიც ქართულადაც და რუსულადაც ბრემსბერგია, ახლავს ბუდე რამდენიმე ირიბი ტერმინით, მაგრამ სრულიად გაუგებარია მათი

მნიშვნელობა (თუმცა სამთო-მომპოვებელი დარგის სპეციალისტისთვის ალბათ ნაცნობია).

მიმაჩნია, რომ ტექნიკური ტერმინოლოგიის სტრუქტურული აგება მოითხოვს ახლებურ მიდგომას: ძირითადი ტერმინების მოკლე განმარტება ახალ სიცოცხლეს შესძენს ტექნიკურ ტერმინოლოგიას.

ტექნიკურ ტერმინოლოგიაში მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვხვდება ქართულის გვერდით რუსული დასახელება, მაგალითად: მძღოლი, შოფერი; კარადა, შკაფი; შოფერი, შოფერ-მექანიკოსი. კარგა ხანია ქართულმა ენამ მოიშორა შკაფიც, შოფერიც, სტოლიც, სტაქანიც და სხვა, ამიტომ ახალ ტერმინოლოგიაში არ უნდა დავუშვათ მსგავსი შეცდომა.

ამჟამად მოქმედ ტექნიკურ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით ბევრი შენიშვნა და სურვილი მაქვს ჩანიშნული, რომელთა ნაწილი ადრინდელ სტატიებში დაბეჭდვ. არის რამდენიმე ახალი ტექნიკური ტერმინის შემოტანის მცდელობაც, რაც მოითხოვს შეჯერებას სპეციალისტებთან და მათთან თანამშრომლობას. მთავარი სიტყვა კი არნ. ჩიქობავას სახ. ენთიმეცნიერების ინსტიტუტს და ტექნიკურ ინტელიგენციას ეკუთვნის.

დასკვნა

ტექნიკა ძალზე მრავალფეროვანია როგორც დანიშნულებით, ისე კონსტრუქციული შესრულებით. შესაძლოა ზოგიერთი მანქანის მოქმედების პრინციპი არ შეიცვალოს ათწლეულების და ზოგჯერ საუკუნეების განმავლობაში (მაგა-

ლითად, ლეონარდო და ვინჩის ქვასამსხვრევი კონსტრუქცია და მუშაობის პრინციპი, ცხენებში შებმული სკრეპერი ან გრეიდერი, მრავალციცხვიანი მიწახაპია და სხვა), მაგრამ ტექნიკურ პროგრესს მოაქვს ახალი საკონსტრუქციო მასალები, ახალი ტექნოლოგიები, გაანგარიშების უახლესი და უზუსტესი მეთოდები, ადამიანისა და ტექნიკის ურთიერთობის ახალი სფეროები (დიზაინი, ერგონომიკა, მართვის სისტემები, ფსიქოლოგიური და ტექნიკური უსაფრთხოების საშუალებები...). დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ე.წ. “უვიცობის კოეფიციენტი”, რომელიც გაათქვამებული მარაგის კოეფიციენტს ითვალისწინებდა კონსტრუქციების საიმედოობის კუთხით. ეს ყველაფერი ახალ ტერმინებთანაა დაკავშირებული, რომელიც ნიადაგირივით შემოედინება ჩვენს ენაში, სწრაფად მკვიდრდება და, ჩვენც უძლურები ვართ, ასევე სწრაფად ჩავანაცვლოთ ისინი ქართული ტერმინებით. ამას სჭირდება თითოეული დარგის სპეციალისტების მოტივირებული დაინტერესება და შრომა, შესაბამისი განმარტებითი ლექსიკონებისა და სრულიად ახალი სტრუქტურული აგებულების ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნა, მოძველებული და გამოუყენებადი ტერმინების შეცვლა უფრო კომპაქტური და მარტივად გასაგები ტერმინებით.

ტექნიკური ტერმინოლოგია, გარდა უცხო ენაზე თარგმნილი ტერმინებისა, უნდა შეიცავდეს ტერმინთა მოკლე განმარტებას და გათავისუფლდეს ზოგადი ტერმინების დიდი მოცულობის ბუდეებისგან.

ლიტერატურა

1. Rannev A. V., Korelin V. F. and others. Construction machinery. Reference book. Vol. 1. Machinery for construction of industrial, civil structures and roads. “Mashinostroenie”. Moscow. 1991, 406 p. (in Russian).
2. Liamin V. M., Gorbovets M. N. and others. Construction machinery. Reference book. Vol. 2. Equipment for production of construction materials and items. “Mashinostroenie”. Moscow. 1991, 406 p. (in Russian).
3. Soviet encyclopedic dictionary. Editor A.M. Prokhorov. "Soviet Encyclopedia". Moscow. 1990, 1632 p. (in Russian).
4. Dictionary of foreign words. M. Chabashvili. Tbilisi. 1964, 434 p.

5. Loskutov Y. The mechanical equipment for the manufacturing of binding materials. "Mashinostroenie". Moscow. 1986, 376 p. (in Russian).
 6. Martinov V. and others. Construction machinery and mounting facilities. "Mashinostroenie". M., 1990, 352 p. (in Russian).
 7. Ozhegov S. The dictionary of the Russian language. The State Publishing House of Foreign and National Dictionaries. Moscow. 1961, 900 p.
-

UDC 001.4

SCOPUS CODE 1203

FOR THE EDITORIAL ISSUES OF THE TECHNICAL TERMINOLOGY

L. Sutidze

Department of Building Machines, 68b M. Kostava str, 0175 Tbilisi, Georgia
E-mail: l.sutidze@gtu.ge

Reviewers:

M. Barbakadze, Associate Professor, Department of Marine and Special Technological Transport, Faculty of Transport and Mechanical Engineering, GTU
E-mail: mblk2@mail.ru

V. Papaskiri, Professor, Department of the Georgian Language, Literature and Mass Media, Faculty of Engineering Economic, Media Technology and Social Sciences, GTU
E-mail: papaskiri@pisem.net

ABSTRACT. Georgian scientific and technical language and terms encounter difficulties negatively affecting some textbooks and manuals. Technical progress extremely declined normative standards of Georgian language and especially, technical terms.

Rapid terminological changes have been occurred in nearly all the fields and especially, in the field of Informatics therefore existing Georgian and Russian technical terms are not sufficient for modern requirements and edition of newly structured vocabulary of technical terms with its brief explanations is of great importance. Terminology should be improved and simplified, renewed and updated with new terms while old ones and term families should be excluded from the vocabulary.

Hopefully, the "Law of Georgia on official language" will provide solution of the problems related to technical terminology.

The article deals with issues of the explanation of general technical terms and the rationality of term families.

KEY WORDS: Device; installation; machine; technical terminology; term families; unit.

UDC 001.4

SCOPUS CODE 1203

К РЕДАКЦИОННОМУ ВОПРОСУ ТЕХНИЧЕСКОЙ ТЕРМИНОЛОГИИ

Сутидзе Л.Н. Департамент строительных машин, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 68^ა
E-mail: l.sutidze@gtu.ge

Рецензенты:

М.И. Барбакадзе, ассоц. профессор Департамента морского и специального технологического транспорта транспортного и машиностроительного факультета ГТУ
E-mail: mblk2@mail.ru

В. Папаскири, профессор Департамента грузинского языка, литературы и массмедии факультета бизнес инженеринга ГТУ
E-mail: papaskiri@pisem.net

АННОТАЦИЯ. Грузинский научно-технический язык переживает кризис, что отрицательно отражается на отдельные технические учебники и учебные пособия. Невиданное наступление технического прогресса резко ухудшило нормативные стандарты грузинского языка и, в частности, технической терминологии. Резкие терминологические изменения произошли в сфере информатики. Поэтому уже существующие грузинская и русская части технической терминологии не удовлетворяют современные требования и становится необходимым издание технической терминологии совершенно с новой структурной системой, в которой в краткой форме будут изложены понятия технических терминов. Терминология должна быть очищена от ненужных и устаревших терминов и упрощаться по мере возможности, обновляться и пополняться новыми терминами, надо отказаться от весьма весомых, т.н. гнёзд, которые усложняют терминологию.

Надеемся, что «Закон о государственном языке» будет содействовать урегулированию проблем технической терминологии.

В статье рассматривается вопрос о целесообразности разъяснения общих технических терминов и их т.н. «гнёзд».

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА: агрегат; гнездо; машина; техническая терминология; установка; устройство.

UDC 556.164:556.01

SCOPUS CODE 1507

CHARACTERISTICS OF HYPERCONCENTRATED FLOWS ENERGY

- E. Kukhalashvili** Tsotne Mirtskhulava Water Management Institute of the Georgian Technical University, 60 Chavchavadze Ave., 0162 Tbilisi, Georgia
E-mail: e.kukhalashvili@agruni.edu.ge
- K.Bziava** Department of Water Supply, Canalization, Heating and Air Conditioning System and Plumbing Installation, Georgian Technical University, 68^b M. Kostava str, 0175 Tbilisi, Georgia
E-mail: k.bziava@gtu.ge
- D. Lortkipanidze** Department of Agriculture, Georgian Technical University, 17 Guramishvili ave., 0192 Tbilisi, Georgia
E-mail: lortkipanidzedimitri@gmail.com

Reviewers:

D. Gubeladze, Professor, Department of Agriculture, Faculty of Agricultural Sciences and Biosystems Engineering, GTU
E-mail: davidgubeladze14@yahoo.com

G. Soselia, Professor, Department of Water Supply, Canalization, Heating and Air Conditioning System and Plumbing Installation, Faculty of Civil Engineering, GTU
E-mail: soselia@mail.ru

ABSTRACT. On the basis of theoretical studies and taking into account variation of the soil rheological characteristics, it was determined, that the movement of the debris-flow mass is not occurred and by changing the angle of internal friction, i.e., by its increasing, the velocity of flow is reduced in case

the equivalent depth of the cohesion is equal to the depth of the flow.

It was found that a sharp jump-type variation in the free surface of cohesive debris flow occurs not only due to the dam failures that have originated as a consequence of the debris-flow storages and debris-flow mass, but every time, when the flow proceeds from the rough mode to calm.

KEY WORDS: Debris flow; hydraulic jump; hyperconcentrated flow; natural disasters; reclamation construction.

INTRODUCTION

In the context of sustainable development of the population, the damage caused by natural disasters is an

issue of global importance. According to the World Conference on Natural Disasters, the number of accidents, causing great economic losses (which is 1% and more of a Gross Domestic Product), are globally increased by 4.1 times in 1962-1992 years, the number of victims – by 3,5 times, and the number of deaths – by 2,1 times [1].

Worldwide strong influence of catastrophic debris-flows is periodically experienced by many settlements, farmlands, roads, oil and gas-pipeline route, hydraulic reclamation constructions, mining and tourist complexes, etc. The range of natural hazards covers the mountain and foothill regions where settlements are located that are characterized by a complex geological situation. The negative socio-economic, demographic and environmental impacts identified as a result of the impact of debris flows, cover all areas of human activity [2, 3].

Formation of floods, feature of their dynamics and conditions of movement on the debris cones, distinguish ability among other phenomena, selection and adaptation of the design model of motion, require a special approach and proper selection of design schemes for solving individual problems [4, 5, 6, 7].

MAIN PART

According to the statement of the practice of engineering problems, among the parameters in the equations, a special place occupies the critical depth, consequently, for its calculation, when the real depth of the debris-flow is equal to H , we use the energy equation:

$$\varepsilon = h \left(1 - \frac{h_0}{h} \right) \varphi + \frac{\alpha V^2}{2g} \quad (1)$$

or

$$\varepsilon = h + \frac{\alpha V^2}{2g} - h(1 - \varphi) - h_0 \varphi. \quad (2)$$

In the equation (2), determination of the h_0 value is based on the method of seepage of planar surfaces, i.e., shear stress equation is:

$$P = \frac{\gamma h^2}{2} \left(1 - \frac{h_0}{h} \right)^2 \varphi. \quad (3)$$

Since as, pressure force value $P = \gamma h_{c.g.} \omega$ and, accordingly, $h_{c.g.} = h/2$. In that case, when $B = 1, \omega = h$, we may write:

$$\frac{\gamma h^2}{2} = \frac{\gamma h^2}{2} \left(1 - \frac{h_0}{h} \right)^2 \varphi. \quad (4)$$

With the simplification of the equation (4) and solution of the quadratic equation towards h_0 , we will get:

$$h_0 = h \frac{\sqrt{\varphi}-1}{\sqrt{\varphi}}. \quad (5)$$

If we consider h_0 in (2) equation, we will get:

$$\varepsilon = h - h(1 - \varphi) - h \varphi \frac{\sqrt{\varphi}-1}{\sqrt{\varphi}} + \frac{\alpha V^2}{2g}. \quad (6)$$

By differentiating the equation (6), we will get:

$$\frac{d\varepsilon}{dh} = d \left(h + \frac{\alpha V^2}{2g} \right) - \frac{1-\varphi}{\varphi} \frac{dh}{dh} - \frac{\sqrt{\varphi}-1}{\sqrt{\varphi}} \frac{dh}{dh}. \quad (7)$$

And finally we will get:

$$\frac{d\varepsilon}{dh} = -\frac{\alpha Q^2}{g \omega^3} B + \varphi \left(1 - \frac{h_0}{h} \right). \quad (8)$$

When the energy of cross-section is minimal, i.e., $\frac{d\varepsilon}{dh} = 0$, then:

$$\frac{\alpha Q^2}{g \omega^3} B = \varphi \left(1 - \frac{h_0}{h} \right). \quad (9)$$

Equation (9) coincides with the water flow equation.

By transforming and simplifying the equation (9), we will receive equation for calculation of critical depth:

$$h_{cr}^3 - h_0 h_{cr}^2 - \frac{\alpha Q^2}{g \varphi} = 0. \quad (10)$$

Estimated equation of critical depth, presented in the given form (Eq. 10), can be obtained using the momentum equation that indicates the accuracy and appropriateness of the use of this model.

According to the above mentioned, when the velocity of the wave is equal to the flow movement velocity, the process can be examined as a jumping phenomenon.

Transition from the rough mode to calm, or vice versa, is conducted by means of a hydraulic jump. During the movement in the open debris-flow channels, as in classical hydraulics and in this case we are faced with different flow conditions: rough, calm and critical.

Similar phenomena may occur in cohesive debris-flow processes. This splitting is not of a formal nature, and with a certain accuracy determines the assignment of the boundary conditions. In addressing these objectives, it is necessary to: build and analyze the free surface of flow motion, compute the energy disruption systems, estimate flow motion modes, determine the flow characteristics arising in consequence of failure of dams created by debris-flow storages and landslides, determine the critical height, velocity, flow rate and other parameters.

In the case of movement of a cohesive debris-flow, the flow state can be described by the following equation:

$$\frac{\alpha Q^2}{g \omega^3} B \geq T, \quad (11)$$

where: T is a dimensionless parameter and during the year it equals to 1.

In our case, T looks like:

$$T = \varphi \left(1 - \frac{h_0}{h} \right), \quad (12)$$

where: φ is a coefficient and depends on the angle of internal friction of the debris-flow;

h_0 – Equivalent depth of coherency;

α – Coriolis factor;

Q – Flow rate of coherence debris-flow;

B, ω – Width of the free surface and the area of cross-section;

g – Acceleration of gravity.

Determination of critical characteristics of cohesive debris-flow is presented below.

The differential equation of one-dimensional unsteady motion of coherent debris-flow has a discontinuity in the event, when the derivative $\frac{dh}{dl} = \infty$ and the denominator is 0. In such case, the following equation is relevant to the discontinuity of a flow:

$$\frac{\alpha Q^2}{g} = \frac{\omega_{cr}^3}{B} \varphi \left(1 - \frac{h_0}{h_{cr}} \right). \quad (13)$$

Similarly to the hydraulics of Newtonian fluids, in the case of critical state, the condition determining the critical depth is represented by the equation (13), which can also be represented graphically (see fig. 1).

In the equation (13), when $h = h_{cr}$ and the right side is equal to 1, i.e.:

$$\varphi \left(1 - \frac{h_0}{h_{cr}} \right) = 1, \quad (14)$$

and the solution towards h_0 will be looked like:

$$h_0 = -h_{cr} \frac{1-\varphi}{\varphi}. \quad (15)$$




Fig. 1. $h_{cr} = f \left[\frac{\omega_{cr}^3}{B_{cr}} \left(1 - \frac{h_0}{h_{cr}} \right) \varphi \right]$ graph.

From equation (15) it is clear that the equivalent depth of the coherency is in the opposite direction. Its

value is a function of rheological properties, as in the coherence debris-flow cohesion is c , angle of internal friction is φ and volume weight is γ , then equation for calculation of critical depth will be looked like:

$$h_{cr} = -\frac{2c}{\gamma} \frac{\sqrt{\varphi}}{1-\varphi}. \quad (16)$$

According to the above mentioned, in the equation (13), when the left part is equal to 1, than the equation for calculation of critical depth will be looked like:

$$h_{cr} = \frac{1}{\varphi} \sqrt[3]{\frac{\alpha q^2}{g}} + h_0. \quad (17)$$

If we consider equation (17) in the equation (15), the equation for calculation of the height of flow passage will be looked like:

$$h_0 = -\sqrt[3]{\frac{\alpha q^2}{g}} \frac{1-\varphi}{\varphi}. \quad (18)$$

When evaluating the conditions of movement of debris-flow on the transition sites, its critical characteristics require a special significance. In order to evaluate the critical characteristics, particularly, during determination of the critical depth, flow energy equation may be used, which is represented by the equation (10). Using Cardano's formulas, approximate solution of equation (10) will be as follows:

$$h_{cr} = \sqrt[3]{\frac{\alpha q^2}{2g\varphi} \left[1 + \frac{2g\varphi}{\alpha q^2} \left(\frac{h_0}{3} \right)^3 + \sqrt{1 + \frac{4g\varphi}{\alpha q^2} \left(\frac{h_0}{3} \right)^3} \right]} \left(1 + \sqrt[3]{\frac{1 + \frac{2g\varphi}{\alpha q^2} \left(\frac{h_0}{3} \right)^3 - \sqrt{1 + \frac{4g\varphi}{\alpha q^2} \left(\frac{h_0}{3} \right)^3}}{1 + \frac{2g\varphi}{\alpha q^2} \left(\frac{h_0}{3} \right)^3 + \sqrt{1 + \frac{4g\varphi}{\alpha q^2} \left(\frac{h_0}{3} \right)^3}}} \right). \quad (19)$$

In the equation (19), when $\varphi=1$, $\beta=0$ and $h_0=0$, it became similar to the equation for calculation of the critical depth of water:

$$h_{cr} = \sqrt[3]{\frac{\alpha q^2}{g}}. \quad (20)$$

In a case of equality of water and debris flow rates, when $q_{df} = q_w$, the equation (19) will be looked like:

$$\frac{h_{cr.df}}{h_{cr.w}} = \sqrt[3]{\frac{1}{2\varphi} \left[1 + \frac{2}{27} \left(\frac{h_0}{h_{cr.w}} \right)^3 + \sqrt{1 + \frac{4\varphi}{27} \left(\frac{h_0}{h_{cr.w}} \right)^3} \right]} \left(1 + \sqrt[3]{\frac{1 + \frac{2}{27} \left(\frac{h_0}{h_{cr.w}} \right)^3 - \sqrt{1 + \frac{4\varphi}{27} \left(\frac{h_0}{h_{cr.w}} \right)^3}}{1 + \frac{2}{27} \left(\frac{h_0}{h_{cr.w}} \right)^3 + \sqrt{1 + \frac{4\varphi}{27} \left(\frac{h_0}{h_{cr.w}} \right)^3}}} \right). \quad (21)$$

If we consider the definition:

$$K = \frac{2}{27} \left(\frac{h_0}{h_{cr.w}} \right)^3, \quad (22)$$

the equation for calculation of critical depth will be:

$$h_{cr.df} = \sqrt[3]{\frac{1}{2\varphi} (1 + K + \sqrt{1 + 2K})} \left(1 + \sqrt[3]{\frac{(1+K-\sqrt{1+2K})}{(1+K+\sqrt{1+2K})}} \right). \quad (23)$$

In the presented equation (23), the member $\left(1 + \sqrt[3]{\frac{(1+K-\sqrt{1+2K})}{(1+K+\sqrt{1+2K})}} \right)$ has a small value and in a case of its ignoring, the equation for calculation of critical depth will be:

$$h_{cr.df} = K \sqrt[3]{\frac{\alpha q^2}{g}}, \quad (24)$$

where:

$$K = \sqrt[3]{\frac{1}{2\varphi} \left[1 + \frac{2g\varphi}{\alpha q^2} \left(\frac{h_0}{3} \right)^3 \right]} + \sqrt{1 + \frac{4g\varphi}{\alpha q^2} \left(\frac{h_0}{3} \right)^3}. \quad (25)$$

CONCLUSION

According to the implemented methodology, it was found that the sharp jump-type variation in the free surface of cohesive debris flow occurs not only due to the dam failures that have originated as a consequence of the debris-flow storages and debris-flow mass, but every time the flow proceeds from the rough mode to calm.

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) [grant number FR/607/10-170/13].

References

1. Yokohama strategy and plan of action for a safer world: Guidelines for natural disaster prevention, preparedness and mitigation. World conference on natural disaster. Yokohama. 1994, 19 p. (in English).
2. Kruashvili I., Kukhalashvili E., Inashvili I., Klimiashvili I. Definition of the disturbed equilibrium of debris-flow mass accumulated in the debris-flows original site, using of degree function. Scientific-technical journal "Hydroengineering". GTU. #1-2 (17-18). 2014, 63-72 pp. (in Georgian).
3. Kruashvili I., Kukhalashvili E., Inashvili I., Klimiashvili I. Determination of debris-flow original site characteristics on the basis of non-stationarity. Scientific-technical journal "Hydroengineering". GTU. #1-2 (17-18). 2014, 46-54 pp.. (in Russian).
4. Natishvili O. Cohesive mudflow wave motion. Bulletin of the Georgian Academy of Sciences, 157, N2.1998, 258-260 pp. (in Russian).
5. De Wrachien D., Brebbia C. A. Monitoring, simulation, prevention and remediation of dense debris flows III. Wessex Institute of Technology. WIT Press. 2010, 288 p. (in English).
6. Scotto di Santolo A., Evangelista A. Some observations on the prediction of the dynamic parameters of debris flows in pyroclastic deposits in the Campania region of Italy. International journal "Natural hazards". 50. 2009, 605-622 pp. (in English)
7. Takahashi T. Debris flow mechanics, prediction and countermeasures. Taylor & Francis Group. London. 2007, 465 p. (in English).

UDC 556.164:556.01

SCOPUS CODE 1507

ჰიპერკონცენტრირებული ნაკადის ენერგიის მახასიათებლები

- ე. კუხალაშვილი** ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0162, ჭავჭავაძის გამზირი 60
E-mail: e.kukhalashvili@agruni.edu.ge
- კ. ბზიავა** წყალმომარაგების, წყალარინების, თბოაირმომარაგების და შენობათა საინჟინრო აღჭურვის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 68ბ
E-mail: k.bziava@gtu.ge
- დ. ლორთქიფანიძე** აგრარული დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი, გურამიშვილის გამზ. 17
E-mail: lortkipanidzedimitri@gmail.com

რეცენზენტები:

დ. გუბელაძე, სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემის ინჟინერინგის ფაკულტეტის აგრარული დეპარტამენტის პროფესორი

E-mail: davidgubeladze14@yahoo.com

გ. სოსელია, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის წყალმომარაგების, წყალარინების, თბოაირმომარაგების და შენობათა საინჟინრო აღჭურვის დეპარტამენტის პროფესორი

E-mail: soselia@mail.ru

ანოტაცია. ნაშრომში, თეორიული კვლევების საფუძველზე და ნიადაგ-გრუნტების რეოლოგიური მახასიათებლების ცვლილების გათვალისწინებით, დადგენილია, რომ როცა ბმულობის ეკვივალენტური სიღრმე ნაკადის სიღრმის ტოლია, მაშინ ღვარცოფული მასის მოძრაობას ადგილი არ აქვს, ხოლო შინაგანი ხახუნის კუთხის ცვლილებით ანუ მისი გაზრდით, ნაკადის მოძრაობის სიჩქარე მცირდება.

მიღებულია, რომ ბმული ღვარცოფის თავისუფალი ზედაპირის მკვეთრი ნახტომისებრი ცვლილებები ხდება არა მხოლოდ ღვარცოფსაცავებისა და ღვარცოფის მასის მიერ წარმოქმნილი კაშხლების გარღვევის შემთხვევაში, არამედ ყოველთვის, როდესაც ნაკადი მძაფრიდან წყნარ რეჟიმში გადადის.

საკვანძო სიტყვები: ბუნებრივი კატასტროფები; სამელიორაციო ნაგებობები; ღვარცოფული ნაკადი; ჰიდრაულიკური ნახტომი; ჰიპერკონცენტრირებული ნაკადი.

UDC 556.164:556.01

SCOPUS CODE 1507

ХАРАКТЕРИСТИКИ ЭНЕРГИИ ГИПЕРКОНЦЕНТРИРОВАННЫХ ПОТОКОВ

- Кухалашвили Э.Г.** Аграрный департамент, Институт водного хозяйства им. Цотнэ Мирцхулава, Грузинский технический университет, Грузия, 0162, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе 60
E-mail: e.kukhalashvili@agruni.edu.ge
- Бзиава К.Г.** Департамент водоснабжения, водоотведения, теплогазоснабжения и инженерного оснащения, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава 68^б
E-mail: k.bziava@gtu.ge
- Лорткипанидзе Д.Г.** Аграрный департамент, Грузинский технический университет, Грузия, 0192, Тбилиси, пр. Гурамишвили 17
E-mail: lortkipanidzedimitri@gmail.com

Рецензенты:

Д. Губеладзе, профессор Аграрного департамента, факультета аграрных наук и инженеринга биосистем ГТУ

E-mail: davidgubeladze14@yahoo.com

Г. Соселия, профессор Департамента водоснабжения, водоотведения, теплогазоснабжения и инженерного оснащения зданий строительного факультета ГТУ

E-mail: soselia@mail.ru

АННОТАЦИЯ. В статье, на основе теоретических исследований и с учетом изменения реологических характеристик почво-грунтов, установлено, что когда глубина, эквивалентная связности, равна глубине потока, то селевая масса не движется, а с изменением угла внутреннего трения, т.е., с его увеличением, скорость потока уменьшается.

Получено, что резкое прыжкообразное изменение свободной поверхности связного селя происходит не только при прорыве селехранилищ и селевых плотин, а постоянно, когда поток из бурного состояния переходит в спокойное.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА: гидравлический прыжок; гиперконцентрированный поток; мелиоративные сооружения; природные катастрофы; селевой поток.

UDC 004.71

SCOPUS CODE 1711

ფიზური მობილური კავშირის ზოგიერთი პრობლემური საკითხის კვლევა პროგრამირებადი რადიოტექნოლოგიების გამოყენებით

- შ. კვირკველია** ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: shakoshalvashako@gmail.com
- ჯ. ბერიძე** ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: jberidze@rambler.ru
- მ. ჯორბენაძე** ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: mamukajorbenadze@yahoo.com

რეცენზენტები:

- თ. ქორთუა**, სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტის პროფესორი
E-mail: tkortua@gmail.com
- გ. მურჯიენელი**, მობილური კავშირის კომპანია „მაგთიკომის“ გადაცემის სისტემების დავგემარე-ბის, გაშვებისა და ექსპლუატაციის დეპარტამენტის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
E-mail: givi@magticom.ge

ანოტაცია. სტატიაში განხილულია პროგრამულად განსაზღვრული რადიო მოწყობილობების (SDR – Software Defined Radio) გამოყენებით მობილური კავშირის სიხშირული სპექტრის ანალიზისა და სიხშირეთა კალიბრაციის ამოცანები. SDR მოწყობილობების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით ჩატარებულია მობილური კავშირის GSM დიაპაზონში დაკავებული და თავისუფალი სიხშირული ზოლების პარამეტრების კვლევა – ზოლების სიგანეების განსაზღვრა, პარამონიკები და ინტერმოდულაციური დონეები, არხების სიმძლავრეები, ინტერფერენციები, სპექტრული

სიმკვრივე. ჩატარებულია ექსპერიმენტით მიღებული შედეგების შედარება თეორიულ მნიშვნელობებთან (გაუსის არხებისათვის) და მათი ანალიზი. ჩატარებულია გენერატორების სიხშირის სტაბილურობის (გადახრის) კვლევა RTL-SDR ბლოკის გამოყენებით და მისი Matlab Simulink პროგრამირებით. ნაჩვენებია საჭიროების შემთხვევაში სიხშირის კორექციის შესაძლებლობები.

საპასნძო სიტყვები: აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა; მობილური ქსელები; სინქრონიზაცია; სიხშირული სპექტრი; სიხშირის კალიბრება; სპექტრის ანალიზი;

შესავალი

თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები ვითარდება სწრაფი ტემპებით, რაც გულისხმობს პრაქტიკაში ახალი და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას. ელექტროინჟინერიის, ტელეკომუნიკაციის და სხვა საინჟინერო ტექნოლოგიების განვითარება შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად – აპარატურულ და პროგრამულ უზრუნველყოფად. განვითარების ტენდენციები ასეთია – უნივერსალური აპარატურული პლატფორმა და მასზე რეალიზებული პროგრამული ტექნოლოგია. ამის ერთ-ერთი პრაქტიკული მაგალითია პროგრამულად განსაზღვრული რადიო - SDR. ამჟამად შემუშავებულია SDR მოწყობილობების ფართო სპექტრი (მაგალითად DVB-T+DAB+FM, UV HF RTL-SDR USB Tuner Receiver/ R820T+8232 100KHz-1.7GHz), რომელთა გამოყენებით და შესაბამისი პროგრამებით შესაძლებელია სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების რადიოტექნიკურ ნაწილში განსაზღვრული ოპერაციების შესრულება. ასეთ ოპერაციათა რიცხვს მიეკუთვნება რადიოსიგნალების მოდულაცია-დემოდულაცია, ხელშეშლამდგარი კოდირება-დეკოდირება, სიხშირული სპექტრის ანალიზი, სინქრონიზაცია, სიგნალიზაცია და ა. შ. თუ ავიღებთ მობილური კავშირის მაგალითს, პროგრამირებადი ტექნოლოგიები აქაც მნიშვნელოვანია, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათი გამოყენებით მობილური ქსელების თაობების ცვლილებისას ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ხდება ახალი მოწყობილობების შემუშავების გარეშე, არსებული მოწყობილობებით, სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით.

SDR ტექნოლოგიები ფართო გამოყენებას პოულობს სასწავლო და სამეცნიერო კუთხითაც. შესაძლებელია სამეცნიერო ან სასწავლო ამოცანის გადაჭრა მარტივი დაბალბიუჯეტიანი RTL-SDR (RTL – Realtek RTL 2832U) მოწყობილობებით.

ძირითადი ნაწილი

სტატიაში განხილულია მობილური კავშირის პრობლემატიკასთან დაკავშირებული ორი პრაქტიკული ამოცანა – სიხშირული სპექტრის ანალიზი და სიხშირის გადახრის კალიბრაცია, რისთვისაც ვიყენებთ NooElec-ის წარმოების R820T SDR & DVB-T მოდელის SDR მოწყობილობას [1, 2], (სურ. 1).


მოცემულ მოწყობილობას შეუძლია რადიოსიხშირული სპექტრის სკანირება სიხშირულ დიაპაზონში 0 მჰც-დან 1,7 გჰც-მდე, რაც მოიცავს FM რადიო დიაპაზონს, ფიქსირებულ და მობილურ ტელეფონებს, სატელევიზიო სიგნალებს, 4G-LTE, GSM, GPS, ISM ტექნოლოგიების სიხშირეებს, ციფრულ აუდიო და ვიდეო მაუწყებლობების, და სხვა სისტემების სიხშირულ დიაპაზონებს.



ა)




ბ)



გ)

სურ. 1. ა) RTL-SDR მინი USB მოწყობილობა; ბ) ლეპტოპზე მიერთებული ტიპური ბლოკი RTL-SDR MATLAB და Simulink პროგრამებით; გ) RTL-SDR-ის ძირითადი შიგა კომპონენტები



სურ. 2. სიხშირული სპექტრის ანალიზი

სიხშირული სპექტრის ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფისთვის ვიყენებთ MathLab-Simulink-ში რეალიზებულ მოდელს – Spectral Analysis with RTL SDR Radio [3].

სიხშირული სპექტრის ანალიზი ხორციელდება მე-2 სურათზე ნახვენები მოდელით. მოდელი შედგება RTL-SDR მიმღებისაგან, DC ბლოკერისაგან, დაკვიანებული ფრეიმების და დაკარგული დისკრეტების ოსცილოგრაფებისაგან და სპექტრის ანალიზატორისაგან. მოდელის მუშაობის პრინციპი დაფუძნებულია ფურიეს სწრაფი გარდაქმნის ალგორითმზე FFT (Fast Fourier Transform) (1):

$$\left. \begin{aligned} X(k) &= \sum_{n=0}^{N-1} X(n) e^{-j\left(\frac{2\pi}{N}\right)nk} (k = 0, 1, \dots, N-1) \\ X(n) &= \frac{1}{N} \sum_{k=0}^{N-1} X(k) e^{j\left(\frac{2\pi}{N}\right)nk} (n = 0, 1, \dots, N-1) \end{aligned} \right\} (1)$$

სადაც $X(k)$ და $X(n)$ არხების სიხშირული მდგენელების ამპლიტუდებია. მთლიანი სიგნალი არის ცალკეული სიხშირული მდგენელების ჯამის, რითაც ხდება სპექტრის ანალიზი და ვიდეო გრაფიკულ ინფორმაციას ვიზუალურად ეკრანზე – მიმღებზე თავისუფალი სიხშირული ზოლების და SNR-ის (Signal-to-Noise Ratio) დონის შესახებ. მოდელის გამოყენებით ასევე შეგვიძლია გავზომოთ სიგნალის მახასიათებლები, პიკური მნიშვნელობები, დაკავებული სიხშირე

ლი ზოლი, ჰარმონიკები და ინტერმოდულაციური დონეები, არხის სიმძლავრე, ინტერფერენციები, სპექტრული სიმკვრივე – PSD (Power Spectral Density) (2):

$$PSD(f) = \frac{1}{p} \sum_{p=1}^p \frac{\sum_{n=1}^{N_{BW}} X(p)[n] e^{-j2\pi f(n-1)T}}{F_s X \sum_{n=1}^{N_{window}} W^2[n]}, (2)$$

სადაც p არის პერიოდოგრამა, $X[n]$ – დისკრეტული სიგნალი, f – სიხშირე, F_s – დისკრეტიზაციის სიხშირე, BW – დაკავებული სიხშირული ზოლი, T – პერიოდი, N_{window} ხმაურის ზოლის ეფექტური ნორმალიზებული სიგანე, W – ჰარმონიკების სიხშირული ზოლის სიგანე.

პრაქტიკული ამოცანა

ექსპერიმენტალურად ჩატარებულია მობილური კავშირის 890,2 მგჰც გადამტან სიხშირეზე 200 კჰც სიგანის სიხშირული ზოლის მონაკვეთზე სიგნალის სიმძლავრის კუმულაციური განაწილების კვლევა CCDF (Complementary Cumulative Distribution).

მიღებული მონაცემებით აგებულია გრაფიკი და შედარებულია არხთან გაუსის ხმაურით (სურ. 3), საიდანაც ჩანს დამოკიდებულება რეალურ და თეორიულ სიდიდეებს შორის. პრაქტიკაში მიღებული შედეგებით შეცდომების ალბა-

თობა უფრო მეტია ვიდრე გაუსის განაწილების დროს, თუმცა მოცემული გრაფიკიდან საინტერესოა მნიშვნელობები 7 დბ-ს ქვემოთ. 890,2 მგპც-ის გადამტანი სიხშირის გარდა ექსპერიმენტი ჩავატარეთ სიხშირული ზოლის კიდურა სიხშირეებისთვის. შედეგი ნაჩვენებია გრაფიკებზე. როგორც სურათებზე ჩანს შეცდომები ყველაზე ნაკლებია 935.2 მგპც გადამტან სიხშირეზე.

მიღებული შედეგების განზოგადებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმჯობესი იქნება საბაზო სადგურის სიხშირის შერჩევა მოხდეს კონკრეტული ადგილმდებარეობის მიხედვით, ბიტური შეცდომების (Bit Error) გათვალისწინებით.


მეორე ამოცანა არის მობილური კავშირის და საერთოდ ტელეკომუნიკაციის პრობლემური საკითხი – სინქრონიზაცია. ცნობილია რომ ტელეკომუნიკაციის თანამედროვე ციფრულ სისტემებში უდიდესი წილი უკავია სინქრონულ სისტემებს, რომელთა მუშაობის ხარისხი მთლიანად განისაზღვრება მიმღებ და გადამცემ მოწყობილობებს შორის სინქრონიზაციით (კოჰერენტულობით). დღეს საჭირო სინქრონიზაცია მიიღწევა ქსელის სატაქტო სინქრონიზაციის სისტემებით, რომელთა დანიშნულებაა ტელეკომუნიკაციის ციფრული ქსელების კვანძებისადმი ე. წ. „სატაქტო სინქრონიზაციის“ მიწოდება ერთი საწყისი წყაროდან. სატაქტო სიხშირის მიწოდება ხდება სატაქტო სინქრონიზაციის სპეციალური ქსელით ან თანამგზავრული სანავიგაციო სისტემით (GNSS).

სინქრონიზაციის დარღვევის საბოლოო შედეგია ე. წ. „დაცურება“ (Split). დაცურება არის ბიტის ამოვარდნა (ჩაგდებას) მიღებულ ციფრულ მიმღევრობაში და ის წარმოიქმნება მაშინ როცა მიმღები და გადამცემი გენერატორების


ფაზებს შორის განსხვავება მიაღწევს ერთ სატაქტო ინტერვალს, რომელიც ციფრული სისტემებისთვის სტანდარტულია და შეადგენს $125 \cdot 10^{-6}$ წმ. ასეთი ფაზური ძვრა აღინიშნება ყოველ 21 წუთში სიხშირეებს შორის განსხვავებისას 10^{-7} , და 144 დღე-ღამეში (≈ 5 თვე) სიხშირეების განსხვავებისას 10^{-11} [4, 5]. ცხადია გადამცემი და მიმღები სიხშირეების ზუსტი აწეობისათვის აუცილებელია მათი ზუსტი გაზომვითობა, რაც ხორციელდება იგივე SDR მოწყობილობაზე, სადაც პროგრამულ უზრუნველყოფად გამოყენებული იქნება Matlab Simulink მოდელი - Frequency Offset Calibration Ratio with RTL-SDR Radio (სურ. 3) [3].

მოდელი ისევე როგორც წინა მოდელი დაფუძნებულია FFT ფურიეს სწრაფი გარდაქმნის ალგორითმზე და ახორციელებს მიმღებისა და გადამცემის სატაქტო სიხშირეებს შორის გადახრის გამოთვლას. მოდელი შედგება შემდეგი ბლოკებისაგან: RTL-SDR მიმღებისაგან, მიმღებისაგან, ცენტრალური სიხშირის წყაროსაგან, PPM (Parts Per Million) გარდამქმნელისაგან, გამყოფისაგან, სიხშირის გადახრის და კორექციის დისპლეებისაგან.


თავის მხრივ, მიმღების ქვესისტემა შედგება მედიანური ფილტრისაგან, პიკური სიხშირის მძებნელისაგან და სპექტრის ანალიზატორისაგან. პიკური სიხშირის მძებნელი ბლოკი იყენებს FFT ალგორითმს და მიღებულ სიგნალში ეძებს სიხშირეს მაქსიმალური სიმძლავრით. სპექტრის ანალიზატორი ითვლის და გვიჩვენებს მიღებული სიგნალის სიმძლავრის სპექტრულ სიმკვრივეს. სიხშირული გადახრა F_o (Frequency Offset) ტოლია (3),




ა)



ბ)



გ)




დ)

..... - გაუსის „თეთრი სმაური“

..... - CCDF-ის მნიშვნელობა

სურ. 3. CCDF-ის გაზომვის შედეგები ა) 890,2 მგჰც, ბ) 914,8 მგჰც, გ) 935,2 მგჰც, დ) 959,8 მგჰც GSM900 სტანდარტის 0,2 მგჰც სიგანის სიხშირული ზოლის მქონე არხებისთვის



სურ. 4. სიხშირის კალიბრაციის ორგანიზაციის სქემა SDR-ის გამოყენებით

$$FO = IoMA * \frac{FS}{FFTL * FST}, \quad (3)$$

ცხრილი

გადამტანი სიხშირეების გადახრები

სიხშირე (MHz)	890.2	914.8	935.2	959.8
SFDR (dbc)	0 – 6	0 – 2	0 – 2.5	0 – 3
THD (dbc)	0 – 2	0 – 4	0 – 4.5	0 – 7.5


სადაც IoMA – მაქსიმალური ამპლიტუდის მქონე ჰარმონიკის ინდექსია (Index of Max Amplitude), FS – ფრეიმის ზომა (Frame Size), FFTL – ფურიეს სწრაფი გარდაქმნის სიგრძე (FFT Length), FST – დრო ფრეიმებს შორის (Frame Sample Time).

პრაქტიკული ამოცანა

მეორე ამოცანაში ჩატარებულია პირველ ამოცანაში გამოყენებული გადამტანი სიხშირეების სიხშირული გადახრის გაზომვები. ფსევდოდინამიკური ზღვარი SFDR (Spurious-Free Dynamic Range) ძირითადად მერყეობს ცხრილში მოყვანილ ფარგლებში. ცხრილში ასევე მოცემულია ჰარმონიკების მთლიანი დამახინჯება THD (Total Harmonic Distortion).

მოცემული პარამეტრების ანალიზით შესაძლებელია სიხშირის კორექციის კოგნიტური ალგორითმის შემუშავება.

ეს და სხვა მსგავსი ამოცანები სრულდება სტუდენტების მიერ სასწავლო-ლაბორატორიული სამუშაოების სახით, გამარტივებული ფორმით, მობილური კავშირის კურსის ფარგლებში (სურ. 5).



სურ. 5. სპექტრის ანალიზის პროცესი მობილური ქსელებისა და სისტემების სასწავლო ლაბორატორიაში RTL-SDR ბლოკის გამოყენებით

დასკვნა

მობილური კავშირის სისტემებსა და ქსელებში ტექნოლოგიების ხშირი ცვლილება დაკავშირებულია ახალი აპარატურის, ტექნიკური საშუალებების შექმნასთან, რომლებიც რეალიზებას უკეთებს ახალ ტექნოლოგიებს. ამ პრობლემის უფრო ეფექტური გადაწყვეტა შესაძლებელია პროგრამულად განსაზღვრული რადიომოწყობილობების გამოყენებით – მოწყობილობების ფუნქციების შეცვლით შესაბამისი პროგრამირებით. სტატიაში

დასმული პრობლემების გადაწყვეტა – მობილური კავშირის GSM დიაპაზონში სიხშირული სპექტრის გამოყენების ანალიზი და სიხშირის კალიბრაცია ჩატარებული RTL-SDR პროგრამული რადიომოწყობილობის გამოყენებითა და მისი Matlab Simulink დაპროგრამებით. მიღებული შედეგები გვიჩვენებს მობილური კავშირის ქსელებში გამოყენებული სიხშირული დიაპაზონის დიდ ფარგლებში (0 – 1,7 გჰც) სიხშირული სპექტრის ყოველმხრივი ანალიზის, ყველა საჭირო პარამეტრის

განსაზღვრის შესაძლებლობას და საჭირო გადამტანი სიხშირის შერჩევისათვის Bit Error მაჩვენებლის გამოყენების საჭიროებას. სტატიაში ჩატარებული ექსპერიმენტი გვიჩვენებს, რომ მობილური მოწყობილობების კოპერენტულობის მისაღ-

წევად საჭირო სიხშირეების კორექციისათვის აუცილებელი პარამეტრების გაზომვა შესაძლებელია RTL-SDR მოწყობილობებით, რაც შემდგომ კორექციის კოგნიტური ალგორითმის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

ლიტერატურა

1. Stewart R.W., Crockett L., Atkinson D., Barlee K., Crawford D., Chalmers I. A low cost desktop software defined radio design environment using MATLAB, Simulink and the RTL-SDR. 2015 (In English).
2. <https://www.mathworks.com> (In English).
3. Network clock synchronization. Eco-Trends. M., 2004, 205 p. (In Russian).
4. Technical diagnostics of modern digital communication networks. Goryachaya liniya - Telekom. 2012, 480 p. (In Russian).
5. Roupheal T. J. RF and digital signal processing for software defined radio. 2009. (In English).

UDC 004.71

SCOPUS CODE 1711

RESEARCH OF SOME ISSUES RELATED TO MOBILE CELLULAR TECHNOLOGY WITH SOFTWARE DEFINED RADIO

- | | |
|-----------------------|---|
| Sh. Kvirkvelia | Department of Telecommunication, Georgian Technical University, 75 M. Kostava str, 0175 Tbilisi, Georgia 75
E-mail: shakoshalvashako@gmail.com |
| J. Berid | Department of Telecommunication, Georgian Technical University, 75 M. Kostava str, 0175 Tbilisi, Georgia 75
E-mail: jberidze@rambler.ru |
| M. Jorbenadze | Department of Telecommunication, Georgian Technical University, 75 M. Kostava str, 0175 Tbilisi, Georgia 75
E-mail: mamukajorbenadze@yahoo.com |

Reviewers:

T. Kortua, Professor Department of Telecommunication, Faculty of Power Engineering and Telecommunication, GTU
E-mail: tkortua@gmail.com

G. Murjikneli, Professor, Manager of Planning, Rollout and Operations Department, Company Magticom Operator of Mobile Communications
E-mail: givi@magticom.ge

ABSTRACT. This article considers frequency spectrum analysis and frequency calibration of mobile communication devices using the software defined radio – SDR. With appropriate software of SDR devices is conducted research of occupied

and vacant frequency bands in GSM range - to define the width of bands, harmonica and intermodulation levels, channel power, interferences, spectral density. The experiment was carried out to compare the results with theoretical values (Gaussian channels) and their analysis. Conducted generators frequency stability (deviation) survey using RTL-SDR block and its Matlab Simulink programming. It's shown frequency correction capabilities in case of need as well.

KEY WORDS: Frequency analysis; frequency calibration; frequency spectrum; hardware and software; mobile networks; synchronisation.

UDC 004.71

SCOPUS CODE 1711

ИССЛЕДОВАНИЕ НЕКОТОРЫХ ПРОБЛЕМНЫХ ВОПРОСОВ СОТОВОЙ МОБИЛЬНОЙ СВЯЗИ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ ПРОГРАММИРУЕМЫХ РАДИОТЕХНОЛОГИЙ

- Квирквелия Ш.В.** Департамент телекоммуникаций, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75
E-mail: shakoshalvashako@gmail.com
- Беридзе Д.Л.** Департамент телекоммуникаций, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75
E-mail: jberidze@rambler.ru
- Джорбенадзе М.Б.** Департамент телекоммуникаций, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75
E-mail: mamukajorbenadze@yahoo.com

Рецензенты:

Т. Кортауа, профессор Департамента телекоммуникаций факультета энергетики и телекоммуникаций ГТУ
E-mail: tkortua@gmail.com

Г. Мурджикнели, к.т.н., директор Департамента планирования, пуска и эксплуатации компании мобильной связи «Магтикком»
E-mail: givi@magticom.ge

АННОТАЦИЯ. Рассмотрены задачи анализа частотных спектров мобильной связи и калибровки частот с использованием программируемых радио (SDR – Software Defined Radio). Соответствующим программированием SDR-устройств проведено исследование параметров занятых и свободных частотных полос GSM диапазона мобильной связи – определение ширины полосы, гармоник и интермодуляционных уровней, мощностей каналов, интерференции, спектральной плотности. Выполнено сравнение экспериментально полученных результатов с теоретическими (для Гауссова канала) и их анализ. Проведено исследование стабильности частот генераторов с использованием блоков RTL-SDR с их соответствующим программированием в Matlab-Simulink. Показана возможность коррекции частот при необходимости.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА: анализ спектра; аппаратное и программное обеспечение; калибровка частоты; мобильные сети; синхронизация; частотный спектр.

UDC 004.5

SCOPUS CODE 1801

ენების წარმოშობა-განვითარების საკითხი ეპოქათა მონაცვლეობის ჰრილში და ვიპილმეტიკონი

გ. ღვინეჟაძე მართვის ავტომატიზებული სისტემების (პროგრამული ინჟინერიის) დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: gvinepadzegela@gmail.com

რეცენზენტები:

გ. სურგულაძე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის ავტომატიზებული სისტემების (პროგრამული ინჟინერიის) დეპარტამენტის პროფესორი

E-mail: usurg@gmx.net

ბ. ცხადაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

E-mail: b.tskadadze@gtu.ge

ანოტაცია. სიტყვებისათვის ეტიმოლოგიის დადგენა არის რთული ლინგვისტიკური ამოცანა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საწყის ლექსიკას. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ თავდაპირველი ტერმინების უმეტესობისათვის ასეთი ძიებების ჩატარებას საერთოდ არ აქვს აზრი, რადგანაც ისინი უბრალოდ უმოტივაციო ტერმინებია. სტატიის ავტორი მის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ასეთ შედეგებამდე მიიყვანა: თავდაპირველი სიტყვების უმეტესობისათვის ეტიმონი – ამოსავალი, ბაზისური ცნება გახლავთ წყალი. ამ ვარაუდიდან გამომდინარე, რიგი, ამ მიმართებით სრულიად “უიმედოდ” მიჩნეულ ქართული (და არა მარტო ქართული) სიტყვებისათვის დადგინდა მათი წარმოქმნის გზები. შემდეგ, სტატიაში განიხილება ენის (ენების) განვითარების ეტაპები ავტორის მიერ შემოთავაზებული წყლის, ცეცხლის და საცხოვრისების მშენებლობის ეტაპების ჰრილში. ცხადია, რომ კვლევების არეალის გასაფართოებლად აუცილებელი ხდება

ამ პროცესში კომპიუტერის გამოყენება. შემუშავებულია სიტყვების ეტიმოლოგიის ავტომატიზებული წესით განმსაზღვრელი სისტემის კონცეფცია – ორიგინალური კონცეფცია ვიკილექსიკონის სრულყოფის მიზნით. კომპიუტერული პროგრამა მსგავსი ჟღერადობის სიტყვებისათვის აფასებს მათ შორის ეტიმოლოგიური კავშირის შესაძლებლობას. ამასთან ერთად, ხაზგასმულია, რომ საბოლოო სიტყვა ეკუთვნით ექსპერტებს.

საკვანძო სიტყვები: ენები; ექსპერტული სისტემები; ვიკილექსიკონი.

შესავალი

ენა ისეთი ფენომენია, რომლის წარმოშობისა და განვითარების თაობაზე კვლევების ჩატარება, ჰიპოთეზების წამოყენება და დასმული საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ ენათმეცნიერთა ანუ ლინგვისტიკის დარგის სპეციალისტთა სამოღვაწეო ასპარეზი არ გახლავთ.

როდესაც ენათმეცნიერი აკვირდება კონკრეტულ ენაში არსებულ ფაქტებს და აღმოაჩენს ერთმანეთისაგან მეტნაკლებად დაცილებულ ენებში (ერთი ოჯახის შიგნით თუ ოჯახებს შორის) ტერმინებსა თუ ენის სტრუქტურებს შორის მსგავსებებს, კავშირებს, რის საფუძველზეც გამოთქვამს ამა თუ იმ ვარაუდს, იგი ხშირად კონსულტაციისათვის ისედაც მიმართავს ხოლმე სხვადასხვა დარგის პროფესიონალს, მაგალითად, მეტალურგიასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის საკითხებში გასარკვევად ლითონმცოდნეობის დარგისა და მისი განვითარების ისტორიაში კარგად გარკვეულ სპეციალისტებს, მიწათმოქმედების საკითხებზე მუშაობისას – შესაბამისი პროფილისას და ა. შ.

და ჩვენც კვლევების პროცესში ვეყრდნობოდით როგორც უძველეს წყაროებში – ბიბლიასა და მითოლოგიებში მოცემულ მინიშნებებს, ისე – ლინგვისტიკის, ქიმიის, ფიზიკის და სხვ. დარგების მიღწევებს, კომპიუტერული სისტემების პროექტირებისათვის რეკომენდებულ მეთოდებს.

ზოგჯერ კი ასეც ხდება – ენთუზიასტების როლში გამოსული სხვადასხვა დარგის სპეციალისტები ლინგვისტიკისაგან დამოუკიდებლად ცდილობენ, თავიანთი სიტყვა თქვან სხვადასხვა, მათ შორის ლინგვისტიკის სფეროშიც, რასაც, ხდება ხოლმე, რომ მნიშვნელოვანი შედეგი მოაქვს!

საერთოდ, დილექტანტების მიერ თავიანთი სპეციალობისაგან დიდად განსხვავებულ დარგებში შესრულებული ასეთი როლის შესახებ მრავალი ინფორმაცია მოიპოვება (ინტერნეტსა და სხვა წყაროებშიც)! „პარალელის“ მკითხველს ამ მიმართებით შევასხენებლით 2011 წელს ჟურნალის მეორე ნომერში ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ სტატიას სათაურით:

„ზოგიერთი მოსაზრება წარმართული პანთეონის და დამწერლობის წარმოშობის სათავეების შესახებ“.

მასში განვიხილეთ და მხარი დაეჭირეთ (ამასთან, შევეცადეთ, ახალი არგუმენტებით გაგ-

ვემდიდრებინა) აწ გარდაცვლილი, შესანიშნავი ქართველი მსახიობის (და, ბუნებრივია, მოცემულ დარგში არასპეციალისტის) ზურაბ ქაფიანიძის მიერ წამოყენებულ, ჩვენი აზრით, მართლაც ბრწყინვალე ჰიპოთეზას:

ბატონმა ზურაბმა საბავშვო თამაშ „ბიჭილის“ ნახაზში ამოიკნო უძველესი ანბანისათვის განკუთვნილი ჩარჩო-ბადე.

ახალბედა მკვლევრის, ასე ვიტყვოდით, ბავშვურმა ხედვამ, სიტყვათა ამ წყვილის საუკეთესო გაგებით, და, არ მოვერიდებით თქმას, გენიალურმა მიგნებამ მრავალ სხვა, მეტად საინტერესო მოსაზრებამდეც მიგვიყვანა ენათა შორის რიგი კავშირების არსებობის კუთხით!

საქმე ისაა, საზოგადოდ, დილექტანტი მისთვის ახალ სფეროში ნაბიჯების გადასადგმელად მთლად ცარიელი ხელებით არ მოდის, ხშირად იგი ცდილობს შედეგების მისაღებად მიმართოს მისი სამოდგაწეო სფეროსთვის ტრადიციულ მიდგომებს, მეთოდებს, რომლებიც ახლად შერჩეული ასპარეზისათვის, როგორც წესი, „უცხო ხილია“ და სწორედ ამის ხარჯზე აღწევს წარმატებას (თუკი აღწევს).

სწორედ, საკითხისადმი ასეთმა, არასტანდარტულმა მიდგომამ განაპირობა ის გარკვეული წარმატება, რომელიც მიღწეულ იქნა ქართული (და არა მარტო ქართული) ენის წარმოშობა-განვითარების შესახებ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად:

ძიებათა პროცესში ეცდილობდით, გამოგვეყენებინა სწორედ ის მეთოდები, რომლებსაც კომპიუტერული სისტემების დამპროექტებლები მიმართავენ თავიანთ საქმიანობაში.

აღნიშნულმა მიდგომამ, ვფიქრობთ, გარკვეული შედეგი ნამდვილად მოიტანა – კონფერენციებზე გაკეთებულმა მოხსენებებმა და ჟურნალებში გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა სპეციალისტების ყურადღება დაიმსახურა [1-8], 2015 წელს კი მასალები ამ კვლევების შესახებ მოხსენდა იუნესკოს მიერ ჩატარებულ კონფერენციას და ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა ამ ორგა-

ნიშაცის ეგიდით გამოცემულ ჟურნალში [9].

წინამდებარე სტატია ასახავს ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევების მომდევნო საფეხურის შედეგებს. კერძოდ, მასში განვიხილავთ:

ენებში ახალი პლასტების გაჩენის ჰიპოთეზებს კაცობრიობის მიერ ცხოვრების წესის შეცვლის შედეგად, როდესაც ის ხელს ჰკიდებს მიწათმოქმედებას, ძირითადად ადგილზე მკვიდრდება, აშენებს სახლებს, მერე სოფლებს, დასასრულ – ქალაქებსაც.

მაგრამ, რადგან ყველაფერს აქვს წინაისტორია, მათ შორის ბინათმშენებლობასაც (მოცემულ შემთხვევაში ბინაში ვგულისხმობთ პრიმიტიულ თავშესაფარს), ჯერ შევეხებით ჩვენ მიერ ადრე გამოთქმულ ჰიპოთეზებს ენათა სამყაროში იმ ცნებების სახელდების თაობაზე, რომელთა წარმოშობაც, ვთვლით, განპირობებული იყო ჩვენ მიერ წყლისა და ცეცხლის ეპოქებად წოდებულ პერიოდებში მცხოვრები ადამიანის საქმიანობით და ამის შემდეგ განვიხილავთ ენის (ენების) განვითარების ასპექტებს პერიოდისათვის, როცა მოვიდა სოფლის შენების დროც!

ძირითადი ნაწილი

*„აქ სწერია, რომ პირველთაგან
სიტყვა იყო...
უკვე შექმერდი! სხვა რამ ცნება
უნდა ვიპოვო!“*

„ფაუსტი“

ვიწყებთ წყლის თეორიის არსის გადმოცემით:

- ფრიად ნიშანდობლივია, რომ ეს თეორია ეთანხმება ბიბლიურ და ტერიტორიულად და დროში დიდად დაცილებული ხალხების მითოლოგიურ წარმოდგენებს – თავდაპირველი ლექსიკურ მარაგს ადამიანი ქმნიდა წყლის ცნებასთან რაიმე სემანტიკურ კავშირში მყოფ არსთა, ქმედებების, მათი ატრიბუტების და ა.შ. სახელდებისათვის;

- ამასთან, იგი არ ეწინააღმდეგება ენის (ენების) წარმოშობის შესახებ აქამდე არსებულ მეცნიერულ თეორიებს, ვთვლით, რომ ყოველი მათგანი უდავოდ შეიცავს რაციონალურ მარცვალს, ახალი თეორია, უბრალოდ, მათ აერთიანებს;

- გამოვთქვით ვარაუდი, რომ ამ მოსაზრების თაობაზე მინიშნება არსებობს იოანე-ზოსიმეს „ქებაში“;

- ვთვლით, რომ წყლის თეორია, ფაქტობრივად, აღმოჩენილი ჰქონდა სახელოვან მეცნიერს ნიკო მარს. ჩვენ მხოლოდ გავაგრძელებთ მისი გზა;

- კვლევებისას ვეყრდნობოდით სხვადასხვა მეცნიერული დარგისათვის (ფიზიკა, ქიმია...) ცნობილ ფაქტებს, მიდგომებს [2, 4-6] (თვით ემპატიის მეთოდის ჩათვლით, რომელიც ტრადიციული „ინსტრუმენტი“ გახლავთ გამომგონებლის, მწერლის, მსახიობისა თუ გამოძიებლისათვის);

- აღნიშნული თეორიის არსის შესახებ 1994 წელს ინფორმაცია გავავრცელებთ ინტერნეტით – ე.წ. მსოფლიო საინფორმაციო დაფაზე, რუბრიკით „მეცნიერება. ენები“, ინგლისურ ენაზე გამოვავტყვენთ მოკლე ტექსტი¹.

¹ მოგეყავს ეს წერილი

Sciences and “Praise and Glory of Georgian Language” of Ioanne-Zosime “Praise and Glory of Georgian Language” – the compact work of monk Ioanne-Zosime, writer of the X century, explains the anthology of centuries-old Georgian literature.

This singular merit is implied by interest caused by monk’s assertion – in Georgian language is put a key of many mysteries which will appear to “all languages” in proper time.

The author, having compared the auguries of “Praise” with those of Bible and taken into account the facts from mythology of different peoples and particular branches of science, has come to conclusion that the main clue put in aforementioned work is gentle hinting at WATER – basic notion. Namely this notion is a primary point for etymology of many words.

We shall make only one among many quotations from the Bible, proving the same:

“But they deliberately forget that long ago by God’s word the heavens existed and the earth was formed out of water and by water...”

წელის თეორიის თაობაზე ჩვენი მოსაზრებების უფრო დეტალურად გასაცნობად მკითხველს შეუძლია მიმართოს სტატიის ბოლოს მითითებულ წყაროებს. მოგვაქვს ამონარიდი ერთ-ერთი მათგანიდან:

„საგამომგონებლო თეორიების შემსწავლელთათვის რეკომენდებულია ასეთი ამოცანის დახმა:

სად და როგორ დამალავდით ოთახში ქვას ისე, რომ მისი მიგნება, რაც შეიძლება მეტად, გაძნელდეს?“

პასუხია: ...

და კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, ფრიად საინტერესო და მრავლისმეტყველი ფაქტი:

აზიაში არსებობს მდინარე, რომლის ხუთ-მარცვლიან სახელწოდებაში თითოეული მარცვლი ახლომასლო მცხოვრები (ან უკვე გამქრალი) ტომების ენაზე აღნიშნავს წყალს (ან მდინარეს)!

ჩვენსკენ გადმოვინაცვლოთ – საქართველოში არსებულ მდინარეებს შორის ხევი კომპონენტის გამოკვეთილად შემცველი მრავალი პიდრონიმი მოგვეპოვება!

ვსვამთ შემდეგ კითხვას: მდინარეთა შეერთების შედეგად მიღებულ ნაკადსაც ხომ არ დაერქმეოდა „დედ-მამის“ გაერთიანებული სახელი, ასევე -თავდასაცავად და მიწათმოქმედებისათვის მეტად გამოსადეგი შეერთების ადგილის ტოპონიმსაც?!

შეიძლება, მაგალითად, ამ კუთხით შევხედოთ მატკვარი → მტკვარი მდინარის სახელწოდებას და არა მარტო მას?

ქვემოთ მოგვყავს მოსაზრებები **ცეცხლის ეპოქის** შესახებ, რომელმაც კაცობრიობის ისტორიის მომდევნო ეტაპზე უდიდესი როლი შეასრულა როგორც ცივილიზაციის, ასევე ენის (ენების) განვითარების საქმეში:

- უცეცხლოდ ადამიანი ვერ სრულყოფდა მისთვის საჭირო იარაღებს... ცეცხლის გაჩენის ხერხების ათვისებასთან ერთად, მან ხელი მოჰკიდა არა მარტო მიწათმოქმედებას, არამედ მე-

თუნეობას, მეტალურგიას, მკურნალობას; ჯერ ჩონიალა ურემი ააგო, შემდგომ საკაცობრიო მნიშვნელობის უდიდესი გამოგონების მწვერვალზე – ბორბალზე – შეაყენა იგი (მოგვიანებით კი, საბრძოლო ეტლიც გამოიგონა);

- ცეცხლის დანთება-შენარჩუნება უძველესი ადამიანებისათვის მარტივი საქმე ვერ იქნებოდა. ლოგიკურია, ამ და მის თანამდევ პროცესებს (ნა-ნადირევის შეწვა, ზეიმი) ნელ-ნელა საკრალური, ცეცხლის თავყვანისცემაში გადაზრდილი ფორმა მიეღო! შემდგომ კი, როცა ადამიანი, ძირითადად, ადგილზე დამკვიდრდა და სხვა საჭიროებებიც გაუჩნდა, მას უნდა შერწყმოდა მზისა და სხვა, „სპეციალიზებული“ ღვთაებების კულტიც: კერპებს შესთხოვდნენ წვიმას, კარგ ამინდს, წარმატებებს ყოველგვარ საქმიანობაში...

- ცეცხლის გაჩენისა და სხვა მხრივაც ტომში გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები თემს მოველინნენ მიღმიერ სამყაროსთან შუამავლების როლშიც – შეიქმნა ქურუმების, შამანების, ქადაგთა ინსტიტუტი, რომელმაც, ნიკო მარის მიერ წამოყენებული, ე. წ. მოგვების თეორიის მიხედვით, უზარმაზარი როლი შეასრულა კაცობრიობისათვის ენათა გამდიდრება-განვითარების პროცესშიც.

- უმარტივესი წესით უნდა მომხდარიყო ცეცხლის გაჩენის საშუალებების და შესაბამისი ქმედებების სახელდება. ზოგიერთი ტომის წარმომადგენლები დღესაც კი უძველესი ხერხებით აჩენენ ცეცხლს: ჯოხის ჯოხზე ხახუნით, კაჟის კაჟზე დაკვესებით, გამომშრალი ხის ნაჭრის ფოსოში ხელისგულებს შორის მოქცეული მაგარი ხის წკირის აქეთ-იქით სწრაფი ტრიალით და შეხების ადგილას ადვილად ააღებადი ნაფხვენების მიყრით.

- ემპატიისა და სხვა მეთოდებზე დაყრდნობით, გამოვთქვით ვარაუდი, რომ ცეცხლის ფენომენთან, ამა თუ იმ მიმართებით, ეტიმოლოგიურ ნათესაობაში უნდა იმყოფებოდეს შემდეგი ცნებები:

• ჩახჩახი, ცაცახი; პარპალი (შდრ. ფერფლი, пурпурный, пе(р)пел). ასევე, - ბ(*)რ+წ(*)ყინვა, ბ(*)რ+ჭ(*)ყვიალი, ბ(*)რ+დ(*)ღ-ვიალი;

• ცეცხლის დანთებისთვის საჭირო ქმედებანი და მასალა: ბ(*)რ+დ(*)ღ-ვანა, ბ(*)რ+წ(*)კენა, ფ(*)რ+ჩ(*)ხ-ვანა, ბარტყი-ბრტყუნა-ბურტყელი [საბა] – ბუმბული; пыль [მტვერი] – пыль (пылать) [ალი];

• ასეთი მასალის მოსამზადებლად საჭირო „ინსტრუმენტი“ – ფ(*)რ+ჩ(*)ხ-ილი;

• მიღებული შედეგის აღმწერი სიტყვები: ბურჯღული – დიდ-დიდი ნაბერწყალი [საბა]; ნა-პერ+წ(*)კალი; შდრ.: ბორჯღალი, ბაჯადლო, ბარჩხალა (მზეზე იტყვიან), ვერცხლი...

• ცეცხლის გაჩენის სხვა, სპეციფიკური ხერხების აღმნიშვნელი კომპოზიტები: ტალ-კვესი, კვეს-აბედი, სავარაუდოდ, – გაორმაგებული კაუ ფუძიანი ტერმინი კაშკაშიც;

• დასასრულ, გამოვთქვამთ ჰიპოთეზებს ზემოთ აღნიშნული ღვთაებების სახელდების სა-ფუძვლების შესახებაც. ამ მიმართებით „ეჭვმი-ტანილებად“ ვთვლით ისეთ ტერმინებს, როგო-რიცაა, მაგალითად: ღერ+მათ, კარ+მა, ჰერ+მეტ და დღეს ირონიული შეფერილობის მქონე ან სულაც საღანძღავად მიჩნეული სიტყვები: ფარ+ჩაკ; ბორ+(მ)ოტ, нормотать; ტარტარ(ოზ)... (უძველესი ღვთაებების სახელდების ამ და სხვა მოტივების შესახებ უფრო დაწვრილებით ქვე-მოთ ვისაუბრებთ).

და გადავდივართ კაცობრიობის ისტორიაში მომდევნო, უმნიშვნელოვანეს ეტაპზე: განვიხი-ლავთ საცხოვრებელი გარემოს ფორმირების – ქოხის, სახლის, სოფლის, ქალაქის მშენებლობის ანუ თითქმის ჩვენი თანამედროვე ადამიანის საქმიანობის როლს ენის შემდგომი განვითარების პროცესში.

მაშ, ასე:

ადამიანი მკვიდრდება ადგილზე,

ანუ დადგა სოფლის შენების დრო!

ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ ქვემოთ მოყვა-ნილი მასალა დამუშავების სტადიაშია და ჩვენ

მიერ გამოთქმული მოსაზრებები პრეტენზიას არ აცხადებს ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებაზე.

ვთვლით მხოლოდ, რომ ეს შეიძლება ასე იყოს, ანდა, კონტამინაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ასეც იყოს!

წინამდებარე სტატიაში, მეტნაკლებად დამა-ჯერებელ ვარაუდებზე დაყრდნობით, ვცდი-ლობთ აღვადგინოთ ენის (ენების) განვითარების სურათი ცივილიზაციის იმ ეტაპისათვის, რო-დესაც ადამიანები მკვიდრდებიან ადგილზე, აშე-ნებენ ჯერ სახლს, მერე – სოფელს, დასასრულ, აგებენ ქალაქს.

ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ ქვემოთ აღწერი-ლი, ჩვენი აზრით, არსებობის უფლების მქონე ვა-რაუდების განსამტკიცებლად საჭიროდ მიგვაჩნია დამატებითი მასალების, ფაქტების მოძიება და ამ პროცესში მეტი წარმატებების მისაღწევად ფრიად პერსპექტიულ ნაბიჯად გვესახება დამხმარედ სპეციალიზებული კომპიუტერული პროგრამების შემუშავება [7].

ისევე, როგორც წინა ორ შემთხვევაში – (ჩვენ მიერ წყლის და ცეცხლის ეპოქებად წო-დებული ენების წარმოშობა-განვითარების ეტა-პების თაობაზე მსჯელობისას) – ენის ამ ახალ საფეხურზე ასვლის პერიოდისთვისაც მივმარ-თავთ ემპატიის მეთოდს:

ამოვიღვართ მოსაზრებიდან, რომ ერთნაირ ბუნებრივ და ასევე ერთნაირი განვითარების დონის პირობებში მცხოვრები ადამიანების ყოფა-ცხოვრების წესები ახლო უნდა ყოფილიყო ერთ-მანეთთან. შესაბამისად, იმდროინდელი ადამიანის ცხოვრების წესის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ვცდილობთ, გავაკეთოთ დასკვნები და წამოვაყენოთ ჰიპოთეზები. ამასთან, ვთვლით, რომ კვლევა-ძიებების პროცესში მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია დღემდე არსებული, ზოგიერთი ჩამორჩენილი ტომის წევრების ყოფისა და საქმიანობის წესებზე დაკვირვებასაც.

ცხადია, საცხოვრებელი ადგილების შერჩევა-მოწყობას ადამიანმა ჯერ კიდევ მაშინ მიჰყო

ხელი, როდესაც განვითარების მეტად პრიმიტიულ დონეზე იმყოფებოდა. სტიქიური მოვლენებისა, მტაცებელთა თუ სხვა ტომელთაგან თავის დაცვის მიზნით, იგი თავშესაფრად ირჩევდა გამოქვაბულებს და ხეებზეც ახერხებდა მოკალათებას (აფრიკაში გვხვდება ტომები, რომლებიც დღესაც მიმართავენ ბოლო ხერხს!).

მაგრამ იმ ეპოქაშიც კი, როცა პირველყოფილი ადამიანისათვის უმთავრესი საზრუნავი მხოლოდ წელისა და საკვების მოძიებაა, ის, ამ პროცესში თავისი ჯოგისა (თუ ტომის) ადგილსამყოფლისაგან საკმაოდ დაშორებული, იძულებული ხდება მოსასვენებლად, მზისა და წვიმისაგან თავის დასაცავად ააგოს მართალია, მეტად პრიმიტიული და დროებითი სახის, მაგრამ მაინც უკვე **ხელოვნური** თავშესაფარი, ანუ ის, რასაც შესაძლებელია ვუწოდოთ თანამედროვე სახლის პროტოტიპი!

და როგორი იქნებოდა ასეთი საცხოვრისი?!

ემპატიით მიღებულ ვარაუდს ამყარებს თვით დღევანდელ სამყაროშიც კი ზოგიერთი ტომის (გადატანითი თუ პირდაპირი მნიშვნელობით) ველური ცხოვრების წესზე დაკვირვება...

მაგრამ ჯერ აღვნიშნოთ ის უდავო ფაქტი, რომ ადამიანი ხეს უძველესი დროიდან იყენებდა მრავალი დანიშნულების მქონე ინსტრუმენტად. მართლაც, ქვასთან ერთად იგი მის ხელში გვევლინება შრომისა და ნადირობის დროს გამოსადეგ ერთ-ერთ პირველ, მეტად საჭირო იარაღად. ამასთან, ხე (ჯოხი, სარი, კეტი, ჭოკი, კომბალი...) იყო არა მარტო მტრისა თუ ნადირისაგან თავდაცვის (გნებათ, მათზე თავდასხმის) იარაღი, არამედ, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, ცეცხლის გაჩენის საშუალებაც; მასვე შეთავსებული ჰქონდა სასიგნალო აღმის, დროშის ფუნქციებიც; ხეს იყენებდნენ დაბრკოლებების (მაგალითად, ღელეს) გადასალახავ ჭოკად და თავისებური მობილური ხიდის როლშიც... მომდევნო ხანებში ეს ინსტრუმენტი ტომის ბელადობის თუ სულიერი წინამძღო-

ლობის სიმბოლო-ატრიბუტად – კვერთხის წინარე სახედაც – კი იქცა!

მაგრამ ამჯერად ხისგან დამზადებულ ინსტრუმენტებსა და შესაბამის ტერმინებთან მიმართებით ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი, როგორც **დროებითი საცხოვრებლის ასაშენებლად საჭირო უმთავრესი ელემენტის როლი** და, აქედან გამომდინარე – ჩვენი მიზანი ხდება ამ ინსტრუმენტისა და სახლის სახელწოდებებს შორის შესაძლო ეტიმოლოგიური კავშირების გამოკვლევა და შესაბამისი ჰიპოთეზების წამოყენება:

თავდაპირველად აღვნიშნოთ ასეთი ფაქტი:

ზოგიერთ ტომში დღესაც კი საკვების ძიებით მოქანცული ადამიანები **მიწაში არჭობენ შუბს (ბოლოწამახულ სარს) და მის წვერზე ამაგრებენ შეფოთლილ ტოტებს**. შედეგად იღებენ კონუსის ფორმის მქონე, მზისა და წვიმისაგან დამცავ დროებით თავშესაფარს; მოისვენებენ, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ახდენენ თავიანთი დინამიკური საცხოვრებლის „დემონტაჟს“ და გზას აგრძელებენ!

ცხადია, რომ ასეთი ნაგებობის უმთავრესი ელემენტია **შუბი** (კეტი, სარი, ტარი, კომბალი...) და საესებით ლოგიკურად გვესახება ვარაუდი, რომ სწორედ ეს, როგორც ჩანს, უძველესი წარმოშობის ტერმინი (ტერმინები) ქვეუნიყოფი ფუძედ საცხოვრებლის აღმნიშვნელი სიტყვებისათვის და მეტ-ნაკლები მოდიფიკაციებით შემორჩენილიყო დღეს ბაბილონის გოდოლივით დაშლილ-დაფანტული ხალხების ენებში.

მაშასადამე, აზრი უნდა ჰქონდეს ასეთ მიდგომას:

ძველი ადამიანის მიერ აგებული საცხოვრისების აღმნიშვნელი ტერმინებისათვის ეტიმოლოგიური ფუძეები (როგორც ქართულ, ისე – სხვა ენებზე) ვეძებთ სწორედ ზემოთ აღნიშნულ სიტყვებში.

ამასთან, ვთვლით, რომ კიდევ უფრო შორეულ ეპოქებში პირველყოფილ ადამიანთა საცხოვრისის

აღმნიშვნელი ტერმინების სახელდებისათვის უნდა არსებულიყო სხვა მოტივებიც და, შესაბამისად, განსხვავებული ეტიმოლოგიური საფუძვლებიც:

- გამოქვაბულში, ხეებსა თუ ხევში თავშეფარებულთათვის – ერთი;

- ცეცხლის დასაცავად აგებული უმარტივესი ნაგებობებისათვის, რომელთაც შემდგომ სახლის ფუნქციაც დაეკისრათ, – მეორე!

სანამ ძირითად სათქმელზე გადავიდოდეთ, მოკლედ ვისაუბროთ ბოლო ორი ვერსიის შესახებ:

უძველეს, მომთაბარე ადამიანებს შორის განაწილებულია ფუნქციები – ქალებისა და ბავშვებისათვის ტომი ირჩევს უფრო დაცულ და წყალთან ახლოს მყოფ ადგილებს: ქვაბებს (გამოქვაბულებს, გვირაბებს), ხეებს... შესაბამისად, მდედრის – ქალის (←ქაელი?, შდრ. მხევალს) სახელი, ლოგიკურია, ასოცირდებოდეს ასეთ საცხოვრებელ ადგილთან, ამ უკანასკნელის სახელწოდება კი, ჩვენ მიერ შემუშავებული წყლის თეორიის მიხედვით, ეტიმოლოგიურ კავშირშია წყლის ცნებასთან.

(აქვე შევნიშნავთ, რომ ლინგვისტების დაკვირვებით, წყლის ცნებასთან ეტიმოლოგიურ კავშირშია ქალის აღმნიშვნელი ტერმინები ინდოევროპულ და, ჩვენი ვარაუდით, – არა მარტო ამ ენებზე).

ჩანს, სრულებით არაა შემთხვევითი, რომ დედამიწაზე მოვლინებულ პირველ ქალბატონს, ბიბლიის მიხედვით, ერქვა ევა - הַוָּה (havaḥ)!

K*V არქაულ ფუძესთან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული საცხოვრისის აღმნიშვნელი მრავალი ტერმინი არსებობს, მით უფრო ბგერითი გადასვლების გათვალისწინებით!

ვფიქრობთ, სწორედ ფუძედ აღებულ ამ კომპლექსზე დაყრდნობით უნდა შექმნილიყო ტერმინები:

ქვაბი (შემდგომში გამოქვაბული, შესაძლოა, – მღვიმეც), გვარი, გუბერნია, კაბ(ალი), ქობ, კობ... და თვით კავკ(ე)სიაც!

შენიშვნა: ადამთან დაკავშირებითაც გვაქვს მსგავსი მოსაზრება... ედემში მცხოვრები?! მეკლუვარი ავთანდილ გიორგობიანი, ვრცელ ფაქტოლოგიურ მასალაზე დაყრდნობა-გაანალიზების შედეგად, ვარაუდობს, რომ ბიბლიური ედემი სულაც რაჭაში მდებარეობდა და იგი გაიგივდა აქ რეალურად არსებულ პუნქტ ედენთან!

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ საცხოვრებლის სახელდების მეორე, „ცეცხლოვანი“ ვერსია:

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ბევრ ენაში შეიმჩნევა ასეთი მოვლენა – ხდება სახლისა და ცეცხლის (კერის) ცნებების გაიგივება, რის თაობაზე საუბარი გეჰქონდა ადრე გამოქვეყნებულ სტატიებში. ამჯერად, ადრე მოტანილთ ვუმატებთ კიდევ რამდენიმე მაგალითს (ამასთან, დარწმუნებული ვართ, თუ ამ საქმეს ლინგვისტებს მივანდობთ, რომ მათი რიცხვის გაზრდა პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს):

კერა – კერია;

კომლი – კვამლი, (თუშეთში კომლის ნაცვლად დღესაც ტერმინ კვამლს იყენებენ);

ოყაგ (ოჯახი) – оყаг (კერა);

ყადო (ძვ.-რუს. ყადო, ყадъ – дети, люди, народ) – чадить (სლავურ ენებში чад – gap);

ბომ – бѹм;

племя – пламя;

la famille (ფრ. ოჯახი) – la fumée (ფრ. კვამლი);

hearth (ინგლ. ოჯახი) – hearth (ინგლ. ბუხარი);

camīnāta (ლათ. ოთახი გათბობით) – camīnus (ლათ. ღუმელი);

комната (რუს. ოთახი) – камин (რუს. ღუმელი).

სავსებით ლოგიკურად მოგვანია ამ ცნებებს შორის ეტიმოლოგიური კავშირის არსებობა. საინტერესო ისაა, რომ თანამედროვე ეპოქაშიც კი (თვით კორპუსში) მცხოვრები პატარა, როდესაც პირველად იღებს ხელში ფანქარს და სახლს ხატავს, როგორც წესი, მის სახურავზე განათავსებს საკვამურ მილს!

გარკვეულ პერიოდში კერა, კერია ადამიანე-

ბისათვის თავიანთი ცემის ობიექტად იქცა. არსებობს ვარაუდი, რომ, მაგალითად, ტერმინი **ფუტი**, რომელიც კვამლის აღმნიშვნელიცაა, შემდგომში საფუძვლად დაედო ჯერ ღვთაების სახელს, შემდგომ რიგ ტოპონიმებს და ეთნონიმსაც კი [10].

დავუბრუნდეთ ამ სტატიის მთავარ სათქმელს – ადამიანის მიერ ხელოვნური საცხოვრისის აგებისა და შესაბამისი ცნების სახელდების პირველ ვერსიას (აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ წამოყენებული სამივე ვერსია ურთიერთგამომრიცხავი არაა – ისინი ერთმანეთს აგებს).

ამრიგად, განვიხილავთ ეპოქას, როდესაც ადამიანი ადგილზე მკვიდრდება, ადრინდელ პერიოდში მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით და დროთა განმავლობაში მისი თანდათანობითი სრულყოფის შედეგად, იწყებს ჯერ ცალკეული სტაციონარული ნაგებობების, შემდგომ კი – დასახლებული პუნქტების მშენებლობას. ოდნავ მოგვიანებით (ან პარალელურადაც) ადამიანი ხელს ჰკიდებს საკულტო დანიშნულების მქონე უმარტივესი ობიექტების, დასასრულ, – მთელი კომპლექსების აგებასაც!

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ადგილზე დაფუძნებული ადამიანი ქოხის, სახლის ასაშენებლად ჯერ ისევ ტრადიციულ ხერხებს იყენებს. გადის დრო და სტაციონარული, ხელოვნურად შექმნილი საცხოვრისის მთავარი ელემენტი – შუბი, კეტი, სარი, ტარი, კომბალი... (ტომის წინამძღოლის ხელში საბრძოლო თუ მრავალი სხვა დანიშნულების ინსტრუმენტი – სადღეისოდ ჩვენამდე სკიპტრის, კვერთხის სახით მოღწეული რეგალია) უკვე **დედაბოძად** იქცევა – მასზე ჩნდება ყოფითი თუ საკრალური დანიშნულების მქონე სიმბოლოები!

– მომდევნო პერიოდში სახლის ცნება ფართოვდება და ის არა მარტო ნაგებობათა ერთობლიობას ანუ დასახლებულ პუნქტებზე ვრცელდება, არამედ ადამიანთა კოლექტივის აღმნიშვნელიც ხდება! (ლინგვისტებისთვის კარგად არის

ცნობილი, რომ დროთა განმავლობაში იშვიათობა არ არის ცნებათა არეალის გაფართოება-დავიწროება).

ქვემოთ მოგვყავს ამ მიმართებით ჩვენ მიერ წამოყენებული რამდენიმე სამუშაო ჰიპოთეზა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ნაწილი სიტყვებისა, რომლებიც ქართულში შემოსულად ითვლება, სავარაუდოდ, იმ შორეულ ეპოქაში უნდა იყოს წარმოქმნილი, როდესაც ენები აგრე რიგად დიფერენცირებული არ იყო... ასევე, არ გამოვრიცხავთ ქართულში მათი დაბრუნების შესაძლებლობასაც. შესაბამისად, ამ ტერმინებს ჩვენი ენის კუთვნილებადაც მივიჩნევთ და ქართულადვე ვწერთ:

- **შუბი** – სობა, სუბ (თავშეყრის ადგილი), სოფელი, სვეტი, свет, свая, совет, свой,...
- **პალ** (палка, ფალოსი) – ფალ (ჩა-ფ(ა)ლობა), პალატა, ...
- **ტარ** – ენათმეცნიერები ხედავენ ამ სიტყვის კავშირს რუსულ дѣрево-ს, ინგლისურ tree (ხე)-სთან და ამოსავლად მიიჩნიან ძვ.-ინდ. dāru (ხე, მასალა). ხეს აღნიშნავს, აგრეთვე, ხეობის ტერმინი ტარუ. სავარაუდოდ, რომ ამ სიტყვებთან უნდა იყოს ნათესაურ კავშირში ქართული ტერმინები: ტარი და ტარო. გამორიცხული არ არის, ტარ ტერმინიდან მოდიოდეს სიტყვები (ან ტარ კომპონენტად შედიოდეს მათში): деревня, დარბაზი, დარბაზი, დერეფანი...
- ***k(*)l** (kill, კლვა → კელა, кол) – cella, კელია, ხალხი, კოლექტივი...

და კიდევ რამდენიმე „ნედლი“ მოსაზრება სახლის ცნების სახელდების საკითხთან მიმართებით:

coxa – სახლი, საკანი(?); **сено** (ძნა) – შინ(?); **კომბალი**(?).

შემდეგ, ტომის რაოდენობრივ ზრდასა და საერთოდ, ცხოვრების წესის გართულებასთან დაკავშირებით, ჩანს, მისი წევრებისათვის უფრო და უფრო მკაცრად განისაზღვრებოდა თანაცხოვრების ნორმები. კერძოდ, ხდება ქალების და მამაკაცების საცხოვრებლების განცალკევება, იქმ-

ნება როგორც მხოლოდ ქალებისა და ბავშვებისათვის ე. წ. სალიაცო (სვ. ლე-ზურ-ალ), ასევე, მხოლოდ მამაკაცებისათვის განკუთვნილი ნაკვეთურები. და ეს ხდება თითქმის ყველა ტომში. ზოგან, მაგალითად, პავაელებისათვის, საცხოვრებლის ამგვარად მოწყობას ადგილობრივთა რელიგიაც მკაცრად მოითხოვდა. დღემდე ძალაშია ნაგებობის ორგანიზების ეს წესი აზიის ქვეყნებში ადრე ფრიად გავრცელებული და აქამდე შემორჩენილი, იურტის ტიპის საცხოვრისებისათვის.

შენიშვნა: შეზღუდვებთან მიმართებით მოვიყვანოთ ერთი ასეთი საინტერესო ფაქტიც – ზოგიერთ აფრიკულ ტომში პირთა შეუღლებაზე ნებართვის გაცემა-აკრძალვის განმსაზღვრელი, ე. წ. დგმების რიცხვი ჩვენში დაწესებულზე რამდენჯერმე მეტია!

და, რაც, განსახილველი თემიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს:

- გარკვეულ დღეებში, საკულტო დღესასწაულებზე თავს იყრიან არა მარტო ერთმანეთთან მეტნაკლებად ნათესაურ კავშირში მყოფი ადამიანები, არამედ თვით მტრულად განწყობილი ტომების წევრებიც კი (ანუ შეუღლებ ცხადდება მორატორიუმი);

- სატომო ღვთაებების ირგვლივ ისინი აღაფლენენ ღოცვებს, იმართება რიტუალური ცეკვოსიმღერები...

სწორედ ზემოაღნიშნულ გარემოებას უსვამს ხაზს ენათა წარმოშობა-განვითარების ორი თეორიიდან ერთ-ერთში – ე. წ. მოგვების თეორიაში – მათი ავტორი ნიკო მარი!

მთლიან თუ გაყოფილ ოჯახებს საკუთარი, „მინი-კერპებიც“ ჰყავთ დაბრძანებული საცხოვრისის წინ ან სულაც შინ, მაგალითად, კერიასთან (აღმოჩენილია შესაბამისი არტეფაქტები „დახარისხებული“ თუ ორმაგი ნიშნის მქონე ფიგურების სახით).

ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნული შეკრებებისას რიტუალების აღსრულებასთან ერთად ხდებოდა ენის როგორც ლექსიკური მარაგის შევსება,

ასევე – მისი სტრუქტურული განვითარება, რაშიც ლოგიკურია, რომ წამყვან როლს ითამაშებდნენ ტომში გამორჩეული ადამიანები. მართლაც, გადის წლები... ადამიანი თანდათანობით კარგავს სხვა სულიერთათვის (მცენარეებისთვისაც კი) დამახასიათებელ, სამყაროში ორიენტირების სპეციფიკურ უნარებს, სამაგიეროდ მას ენიჭება **თავისუფლება** – ეძლევა არჩევანის გაკეთების საშუალება. ამავე დროს ტომის სულიერ ლიდერებს (შამანებს, ქადაგებს, მოგვებს...) ეს ნიჭი არამცთუ შემორჩათ, გაუღრმავდათ კიდევ – მათ სპეციალური, ე. წ. გამწმენდი რიტუალების შესრულების შედეგად უფლება ეძლევათ, მიღმიერი სამყაროდან მიიღონ კოლექტივისათვის სასარგებლო ინფორმაცია. ტრანსში გადასვლაში ამ ადამიანებს ეხმარებიან ტომის რიგითი წევრებიც – საკულტო ნაგებობების გარშემო სრულდება რიტმული როკვოსიმღერები...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიკო მარის მტკიცებით, აღნიშნული პროცესების შედეგად ენათა განვითარებას დიდი სტიმული ეძლევა:

მართლაც, ლოგიკურია, რომ ტოპონიმების, ჰიდრონიმების თუ ერთმანეთის სახელდების მსგავსად, ადამიანებს კერპებისთვისაც დაერქმიათ საკუთარი სახელები და დღევანდელ ენებში ფრაგმენტული სახით მაინც შემოგვრჩენოდა ადრინდელი თავყანისცემის ობიექტების, მათდამი მიძღვნილი რიგი ქმედებების, რიტუალების სახელწოდებანი!

სწორედ ზემოთ აღნიშნული გარემოებით უნდა იყოს განპირობებული ის, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი და, ერთი შეხედვით, უცნაური ფაქტი, რომ ქართველურ ენებში (მეგრულში, სვანურსა და საკუთრივ ქართულში) უამრავი ისეთი ტერმინი გვხვდება, რომლებიც ერთდროულად აღნიშნავს **უთავბოლო სიარულს** და **უთავბოლო ლაპარაკს**.

აღნიშნულ გარემოებას ასეთ ახსნას ვუძებნით: ერთ ეპოქას მომდევნო ცვლის („დრონი მეფობენ...“), ადრე ფრიად საპატივცემულო კერ-

პების მსხვერველს თან სდევს არა მხოლოდ თავ-
ვანისცემის ამ ობიექტებისადმი აღვლენილი ღოც-
ვებისა და რიტუალური ცეკვა-სიმღერების დის-
კრედიტაცია-აკრძალვა, არამედ მათი ხსენებაც კი!
მიუხედავად იმისა, რომ ახალი წესების დამრღ-
ვევითაღვის უმკაცრესი სასჯელები წესდებოდა,
უძველესი ღვთაებების თაყვანისცემის ნაშთებმა
საქართველოში ჩვენს დრომდე მოაღწია, განსა-
კუთრებით – მთიანეთში. პარადოქსია, მაგრამ ამ
კვალის შემორჩენის სხვა წყაროებად იქცა კერ-
პებისა და მათთვის პატივის მისაგებად შესრუ-
ლებული რიტუალური ცეკვა-სიმღერებისადმი
უკვე ირონიული ან სულაც მტრული დამოკი-
დებულება. ნათქვამს ადასტურებს დღეს უკვე
სულ სხვა შინაარსის სიმღერებში ფრაგმენტული
სახით შემორჩენილი ცალკეული „უაზრო“ თუ
მეტყველებაში არსებული სალანძღავი სიტყვები
და ამგვარივე დატვირთვის ფრაზები (ძირითადად
მისამღერის სახით გადარჩენილი).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლოგიკურად
ჩავთვალეთ, უძველეს წარმართულ ღვთაებათა
ეტიმოლოგიის დასადგენად სავარაუდოდ გამო-
სადგე სიტყვათა სიაში შეგვეტანა რიგი ასეთი
ტერმინებისა და „ექვმიტანილთა“ გაანალიზებით
გვეცადა დასახული მიზნის მიღწევა.

შევნიშნავთ, რომ ამ მხრივ ქართველური ენები
ძალიან მდიდარ მასალას იძლევა, რაც იმ ფაქტზე
უნდა მიუთითებდეს, რომ შორეულ წარსულში
თითქმის ყოველ ცალკეულ თემს უნდა ჰყოლოდა
ჩვენში საკუთარი მფარველი. ზოგიერთი მათგანი
კი თაყვანისცემის ობიექტად უნდა ქცეულიყო იმ
ეპოქაში, როდესაც დღეს ერთმანეთისგან (მრავ-
ალი თვალსაზრისით) შორს მყოფი ერები და
შესაბამისად, ენათა სამყარო გაცილებით ნაკლე-
ბად იყო დიფერენცირებული. ზოგი ასეთი ტერმი-
ნის ეტიმოლოგიის თაობაზე იხ. სტატია [3]. მასში
განვიხილავდით სწორედ ამგვარ, ერთდროულად
უთაბოლო სიარულისა და ლაპარაკის აღმნიშ-
ნელ ტერმინებს:

ბოლიაღს, ლაქლაქს, ტლიკინს...

ამჯერად მათ რიცხვს ვამატებთ კიდევ რამ-
დენიმე სავარაუდოს:

- ჩერჩეობა (ჩერჩეობს, წაჩერჩეტდა); კინ-
ტაური ← cantare(?) [ამ ტერმინის თაობაზე უფრო
დაწვრილებით სხვა დროს ვისაუბრებთ];
- მხოლოდ ერთი „ფუნქციის“ სახით შემორ-
ჩენილი: კუნტრუში, ხუნტრუცი, ცუნდრუკი, ფუნ-
დრუკი, შალახო (შდრ. სალახანა).

ეფიქრობთ, მოიძიება მრავალი სხვა ტერმინიც.

და რაც განსაკუთრებით საინტერესო და ყუ-
რადსაღებია – ამ ტერმინების სახელდება, რო-
გორც ჩანს, ხდებოდა იმ შორეულ წარსულში,
როდესაც ადამიანები უფრო უშუალო დამოკი-
დებულებაში იყვნენ ერთმანეთსა თუ გარე სამ-
ყაროსთან და „საგნებს თავის სახელებს არქმე-
დნენ“. სწორედ ასეთმა ვითარებამ მიიყვანა
ადამიანი ორბუნებოვანი ღვთაებებისა და მზისა
და მთვარის კულტის თაყვანისცემამდე (ჯერ
ცალკე-ცალკე და შემდგომ კი მათ გაერთიანე-
ბამდე), დასასრულ, – **ინ** და **იანის**, ანუ თავისე-
ბური ორობითი სისტემის („0“ და „1“-ის) ფილო-
სოფიამდე.

*შენიშვნა: აქვე უპრიანია, გავიხსენოთ გერმა-
ნელი მათემატიკოსის ლეოპოლდ კრონეკერის
ცნობილი ფრაზა: „ღმერთმა შექმნა მთელი რიცხ-
ვები, ყოველი დანარჩენი – ადამიანის ხელმა“.
ჰოდა, ამ მთელ რიცხვებში პირველ ორ საპატიო
ადგილზე წარმოგვიდგება სწორედ 0 და 1
ციფრები, რომელთა კომბინაციებითაც შეიძლება
გამოისახოს ნებისმიერი ტერმინი, ფრაზა და
კომპიუტერშიც დაფიქსირდეს, იქნება ეს (ტრი-
ვიალური გაგებით) სიტყვა, თუ რუსთაველის,
ლენინარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, ბეთჰო-
ვენის ქმნილებანი, გნებავთ, – ჩვენ მიერ შექმ-
ნილი ექსელის ფაილი!*

აღვნიშნავთ, რომ ზემოხსენებულ კულტებს
ფრიად უტილიტარული დანიშნულებაც ჰქონდათ,
კერძოდ, მათი მსახურნი განსაზღვრავდნენ – რა,
როდის, სად და როგორ უნდა მომხდარიყო,
კერძოდ:

მიწათმოქმედი ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა მისი საქმიანობისათვის ფრიად საჭირო კრიტიკულ ვადებსა და, ჩვენი ვარაუდით, თვით – შთამომავლობის ჩასახვა-დაბადებისათვის დაწესებული ინსტრუქციების აღსრულების დროში გარკვევა!

მაგალითად, ამინდის „სამინისტროს“ განაგებდა **მემარგე**, ლოგიკურია, რომ თავიდან ის ემსახურებოდა მხოლოდ მზის ღვთაებას. საქართველოს მთიანეთში დღემდე შემორჩენილი თანამედროვე ობსერვატორიების უძველესი წინაპრები, ადგილობრივ მოსახლეობაში **მზის ბუდეებად** ცნობილი **წრიული ყორები** ცენტრში ვერტიკალურად მდგარი ქვის სვეტით ე.წ. **მენჭირით** (საბას მიხედვით, ქვაკაცით, იმავე ჭორტით) და მზის შუქით დროის ყველაზე საჭირო მომენტების დამაფიქსირებელი **ბუდეებით**.

აქვე შევნიშნავთ, რომ კიდევ უფრო შორეულ წარსულში მომთაბარე ხალხი დროის გასაგებად, ჩანს, იყენებდა ზემოთ ჩამოთვლილ იარაღებს: შუბს, სარს, სოლს, კომბალს...

აი, რას გვიმბობს მკვლევარი გიორგი გიგაური:
*„...მზე რიგრიგობით ბუდობს მზის ბუდეებში...
 ხელოვნურად ნაგებ ქვის სვეტების წყობაში...
 ავიდოდა მემარგე გორაზე, დახედავდა მზისა და მთვარის ჩრდილებს, დააკვირდებოდა ვარსკვლავებს; ასევე, პირველად ამოსული მზის დისკოს მოხვედრისა და თანდათანობით მორიგ ბუდეზე გადანაცვლების ადგილს და ასე არკვევდა, როდის ღებოდა ახალი წელი, თვე, სეზონი, წვიმიანი იქნებოდა თუ ცხელი და ა.შ. ანუ ეს ნაგებობა ერთგვარი ხალხური ობსერვატორია იყო. ხევში... 'მზის ბუდეზე' კომპასი დაედგ, ქვების განლაგება ზუსტად უჩვენებდა აღმოსავლეთ-დასავლეთ-ჩრდილოეთ-სამხრეთ მხარეებს“.*

ჩვენს ქვეყანაში მზის კულტის გავრცელება-გავლენის თაობაზე ნათლად მეტყველებს ისტორიული ცნობები. მოგვყავს ამონარიდი ერთ-ერთი მეცნიერული ნაშრომიდან [10]:

„კოლხეთში არგონავტების შემოსვლის ეპოქაში, როცა გაბატონებული იყო მზის თაყვანისცემა, კოლხთა ქვეყნის უმთავრეს საკულტო ცენტრს წარმოადგენდა უმაღლესი ქალღვთაების ფუტის (ფასიანეს) ტაძარი, სადაც მთავარი ქურუმი იყო თვით მზის შვილის – მეფე აიეტის (პაიტ?! - გ. დ.) გრძნეული ქალიშვილი მედეა, ვისი დახმარებითაც ბერძნებმა მოიტაცეს მედიოთნეობის ცოდნის წიგნი ეფუტი ანუ 'ოქროს საწმისი“.

და გადახვევა (თემასთან კავშირში მყოფი):

გავრცელების მიხედვით ქართულ გვარებში მესამე ადგილზეა **გელაშვილი**, ხოლო იმ გვარებს შორის, რომელთა ფუძე გახლავთ პირსახელი (აქ გელა) – **პირველი**!

ფიქრობთ, ამის მიზეზი არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ გელა (მეგრ., გერა) სახელის პირველწყარო ტოტემის [მგელი → მეგლა (მგელიკა) → გელა] პოპულარობა შორეულ წარსულში, ტოტემისა, რომლის თაყვანისცემის კვალი დღემდე შემორჩა საქართველოსა და კიდევ უფრო მეტად ჩრდილოკავკასიურ ტომებში (რაც ჩვენი ნათესაობის ერთ-ერთი საფუძვლიანი არგუმენტიც გახლავთ).

შემდეგ ფაქტებზე დაყრდნობით, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ გელა (ან მასთან ახლოს მდგომი ტერმინები) ძალიან შორეულ ეპოქებში უნდა ყოფილიყო მზის უძველესი კულტის სახელწოდება. მართლაც:

- გელა ჩვენი მეზობელი და მონათესავე ინგუშებისათვის მზის ღვთაებაა, ძველი ბერძნებისათვის კი მზის ღმერთი არის ჰელიოსი;
- სიტყვა გელა ქართულში აღნიშნავს ძალა-ყინსაც (რკინის კეტს). თვით **კეტი** კი ეტიმოლოგიურ კავშირში მყოფად წარმოგვესახება ასევე მზის აღმნიშვნელ **ქათ** ტერმინთან, რომლიდანაც გამომდინარედ ლინგვისტები მიიჩნევენ ტერმინ **ქათინაურს**. შესაძლოა, ეს **ქათ** ტერმინი კავშირში იყოს შემდეგ სიტყვებთანაც: ხელი, ხუთი, ხატი;

• Hell-ის წინაპრად თუ არა, მასთან ეტიმოლოგიურ კავშირში მყოფად მოვიანებთ ქართულ გა-ხელ-ებას (სავარაუდოდ, აღნიშნავდა ტრანსში გადასვლას). ასევე, გავიხსენოთ ტერმინები: *прость*, რეტი, რატრატი.

დასასრულს, გამოვთქვამთ შემდეგ ვარაუდებს **საღ (სარ)** ფუძის მქონე ზოგიერთი სიტყვის ეტიმოლოგიის თაობაზე მზის, შესაბამისი ღვთაებებისა და მათ საპატივცემულოდ აღსრულებულ რიტუალებთან მიმართებითაც:

სული, Seele, soul;

Солнце – Сурья;

о-шал-еть, шило, шельмовать, სულელი, სალოსი;

яркий, Jahr – юродивый;

ძელი, ძალა, сила;

სღვა, с-сылать.

ვავრძელებთ მნათობების კულტად ქცევის თემას – **მზის კულტს უნდა მოჰყოლოდა მთვარის ღვთაების თაყვანისცემაც...**

მოგვყავს ამონარიდი იმავე წყაროდან [10]:

„ძვ.წ. აღ-ის პირველი საუკუნის ბოლოს სტრაბონი იბერიაში მთვარის კულტის უპირველესობაზე გვაძლევს ცნობას. (ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. I, 1960 წ., გვ. 50-52). ძველ სამყაროში მზისა და მთვარის თაყვანისმცემლებს შორის პირველობის გამო ხშირად იყო შეხლა-შემოხლა და ამ მხრივ არც ჩვენი ქვეყანა იქნებოდა გამონაკლისი“.

მეცნიერები თვლიან, რომ **თეთრი გიორგი** იყო ამ კულტის მიმდევართა თაყვანისცემის ობიექტი!

ჩანს, ზოგან ხდებოდა კულტების „დამეგობრება“ (მზისა და მთვარის კულტთან დაკავშირებით იხ. ქვეთავი „ნებრას დისკო“ ნაშრომში [12]). მაგალითად, ვვარაუდობთ, რომ ამის კვალი შემორჩენილი უნდა იყოს ღვთისშვილ იახსარის (ახ+სარ(?)) სახელწოდებაში. მივაქციოთ ყურადღება სიტყვებსაც:

აღ+სარება, სარი, საარი, ახალი (მთვარე), ახ! შორისდებულს.

ორმაგბუნებოვანი ღვთაებებთან მიმართებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩვენში საკმაოდ გავრცელებული გვარის – **ქავთარაძის** (ქავთარაშვილის, არსებობს გვარი ქავთარაძეც) ეტიმოლოგია. გვარების ეტიმოლოგიის დადგენაზე მომუშავე მეცნიერები ქავთარ ფუძეს ხედავენ სხვა ქართულ გვარებშიც: ქანთარია, ქანდარია,...

საგულისხმო აქ ისაა, რომ გვარი ქავთარაძე, როგორც მიჩნეულია ფუძედ ქავთარ საკუთარი სახელის მქონე, საქართველოში რაოდენობით წინ უსწრებს ისეთ გვარებს, რომლებიც მომდინარეობს ჩვენში თვით ყველაზე გავრცელებული სახელებისაგან:

დავითი, ზურაბი, ლევანი, ალექსანდრე, ირაკლი (გამონაკლისია მხოლოდ *გიორგი* ფუძისაგან მიღებული გვარები).

ჩვენი აზრით, აღნიშნული მოულოდნელობის მიზეზი აქაც გახდა ზემოთ, გელაშვილის გვარის თაობაზე მსჯელობისას აღნიშნული ფაქტორი – უძველეს ეპოქაში საკუთარ სახელად (და, სავარაუდოდ, რიგ ტოპონიმებად) ტოტემის სახელწოდების გადაქცევამ ჩვენში სხვა, ასევე ფუძედ სახელის მქონე გვარებიდან გაცილებით მეტად რომ განავრცო სწორედ გვარი გელაშვილი.

ვვარაუდობთ, რომ **ქავთარ** უნდა ყოფილიყო ტოტემის სახელი იმ შორეულ ეპოქაში, როდესაც ჩვენ და ინდოევროპელები ენების ერთ ოჯახს ვეკუთნოდით, ეპოქას, როდესაც ადამიანები თაყვანს სცემდნენ ორბუნებოვან ღვთაებებს. ვეყრდნობით შემდეგ მოსაზრებებს:

– ჯერ ერთი, არსებობს ნათქვამის დამადასტურებელი არტეფაქტები. მაგალითად, ერთი მათგანი – პრიმიტიული მანერით შესრულებული ბრინჯაოს ფიგურა (რაც სწორედ მის არქაულობაზე მეტყველებს) ინახება ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში;

– ვთვლით, რომ ამ მიმართებით ყურადღებას იმსახურებს ასეთი, ცოტა არ იყოს, უცნაური ლინგვისტური ფაქტი: სპარსულ ენაზე ქავთარ

სიტყვასთან კავშირდება როგორც **მტრედი**, ისე – **აფთარი**.

ბოლო გარემოებას ჩვენ ამგვარ ახსნას ეუძებნით:

მტრედი – ძველი ადამიანების წარმოდგენებსა თუ ხილვებში უნდა ყოფილიყო ღვთაების, თაყვანისცემის ობიექტის სუფიერი პიპოსტაზი (რის თაობაზეც უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ), ხოლო აფთარი – ამავე ღვთაების მიწიერი „რეალიზაცია“.

არ გამოვრიცხავთ, რომ სიტყვა ქავ(ა)თარ და ინდუისტურ მითოლოგიურ-რელიგიური წარმოდგენებიდან ცნობილი ტერმინი ავატარა – ღმერთის (ღვთაების) მიერ დედამიწაზე ჩამობრძანება და რომელიმე ცოცხალ არსებაში განსხეულება, რათა იგი ადამიანებს დაეხმაროს მათთვის კრიტიკულ მომენტებში – ერთი წყაროდან იღებდნენ სათავეს.

ძველი ადამიანების წარმოდგენებში მტრედი სასიხარულო ამბების მაცნეა. მართლაც:

- სწორედ მტრედი ატყობინებს ნოეს, რომ მისი სანუკვარი ოცნება ახდა!

- მტრედს აღნიშნავს ბიბლიური იონას სახელობით, რომელსაც ეუწყა და შემდგომ მან კაცობრიობას აუწყა ყველაზე დიდი საიდუმლო (აქადური ტრადიციის მიხედვით, სწორედ იონას გაანდობს თევზი ადამიანებისათვის ფარულ მრავალ საიდუმლოს)!

- დასასრულ, მტრედის სახით ეცხადებოდა ადამიანებს **სულიწმიდა**!

ცნობილი ფაქტია, რომ თეონიმები ხშირად გვევლინებოდნენ ტოპონიმების წარმოშობის წყაროდ. შემორჩენილია ასეთი ისტორიული ცნობა – XIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში ცხოვრობდნენ **ქავთარელი** გვარის მატარებელი გლეხები. ამრიგად, სავსებით ლოგიკურად ეთვლით მოსაზრებას, რომ დღევანდელი ან ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე არსებულიყო **ქავთარ** სახელწოდების მქონე დასახლებული პუნქტი. ვარაუდს ამყარებს ის ფაქტიც,

რომ, ჩვენ მიერ კომპოზიტად მიჩნეული **ქავთარ** ტერმინის მეორე კომპონენტი **თორი** (მიგვაჩნია, რომ კავშირშია თეონიმ ტაროსთან) ძველად ისტორიული საქართველოს მთელ მხარესაც კი აღნიშნავდა!

მეცნიერთა ვარაუდებზე დაყრდნობით, **ქავთარ** ფუძის მქონე გვარების ნაწილის თაობაზე ზემოთ ვისაუბრეთ, მაგრამ, საკვლევი – ხომ არ „შეიმაღლა“ ეს კომპოზიტი შემდეგი პუნქტებისა და გვარების დასახელებაში, როგორებიცაა:

ღვითორი (ჰიდრონიმიცაა), ს-ხვითორი, ქვითორი, კავთ(რ)ისხევი(?), ხვედურეთი და მასში შემავალი თრეხვი, ხვით(რ)ი, საცხვითარა?!

ასევე, შემდეგ გვარებში:

ხვითარია, ხვითარია, ხ(ე)იტარიშვილი, ხ(ე)ითარიშვილი, ხვით(რ)ია, ხ(ე)თრიძე, ხავთ(რ)ასი... ?!

და ამ მიმართებით ხაზგასმით გამოვეყენოთ იონონიმი **თარგამოსი** (თარ+გამ+ოსი[?])!

სავარაუდოდ, საცხოვრისის წინ (და/ან შინაც) საკუთარი კერპის გარშემო ყოველდღიურად სრულდებოდა რაიმე წეს-ჩვეულება, ხოლო სადღესასწაულო დღეებში ტომის მიერ გამორჩეულ ადგილას თავს იყრიდა მისი ყველა წევრი, ანუ ხდებოდა შე - **ხ*ე + ღ*რ** - ა და შესაბამისი რიტუალების აღსრულება.

შეენიშნავთ, რომ ქავთარ ტერმინთან მიმართებით გვაქვს სხვა, საინტერესო მოსაზრებები, კვლევები გრძელდება და „ნედლი“ ვარაუდების გამოქვეყნებისაგან თავს ვიკავებთ.

და კიდევ ზოგიერთი მოსაზრება ენის წარმოშობა-განვითარების თაობაზე:

ფიქრობთ, ამ პროცესში დიდი როლი შეასრულა პირველყოფილი ადამიანის მიერ ათასწლეულების მანძილზე საგნების, მოვლენების თუ მის მიერ განხორციელებული ქმედებების სახელებისათვის შემოღებული ცალკეული ტერმინების ერთ ცნებად გაერთიანებამ. თავდაპირველად ეს მოხდებოდა უმარტივესი გზით – სიტყვის წარმოთქმისას მისი გაორმაგებით და, შესაბამისად, მისთვის მეტი ექსპრესიულობის მინიჭებით ახალი

ცნება-ფენომენის შექმნით. ამ მხრივ, მართლაც რომ მდიდარია ქართული ენა:

ხამხამი, ციმციმი, ლაპლაპი, თავთავი, ტივტივი, ტუსტუსი, ქათქათი, ფუსფუსი, ნარნარი, ძაგძავი, ღი(ნ)ღინი (შდრ. ღნავილი), წუ(ნ)წუნი (შდრ. წუნობს), ღასღასი, ჭიკჭიკი, ჭახჭახი, ღიკღიკი, ხარხარი, ტარტარი და მრავალი სხვ.

დღეს ბევრი ასეთი ტერმინისათვის ამოსავალი ფუძის მნიშვნელობა დაკარგულია (ან თითქმის დაკარგულია), მაგალითად, *ლაპ* სიტყვა ქართულ დიალექტში აღნიშნავს დიდ ცეცხლს. გარდა ამისა, ასეთი ორმაგფუძიანი ტერმინები იმ მხრივაც არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ ისინი (უფრო სწორედ კი, მათი საწყისი ფუძეები) ძალიან ძველი წარმოშობის უნდა იყოს და, აქედან გამომდინარე, დიდი შანსია, სხვა ენებშიც მოექცნოთ „ახლობლები“.

ეს პროცესი ამგვარადაც წააგავს სამშენებლო საქმეს – აგურს ედება მისივე ალი-კვალი აგური!

ენის სრულყოფა-გამდიდრების საქმეში შემდგომ ნაბიჯად უნდა ქცეულიყო ისეთ ცნებათა სახელდება, რომლებშიც ადამიანი აერთიანებს ორ, უკვე განსხვავებული დატვირთვის მქონე და მის მიერ კარგად ათვისებულ სიტყვას. ამ მხრივ, საინტერესოდ გვესახება ისეთი ტერმინების გაანალიზება, როგორიცაა, მაგალითად:

ბორბალი, კომბალი, ხორბალი (შდრ. Herba-ს), ბერკეტი, ბეხრეკი, (პ)არ+მატ+..., არ+მათ-იონი, ქერემეტი (ყაზახ., ჩუვაშ. და სხვ.), კვეს-აბედი, ტალ-კვესი, პერი ოგა, კარმა და მრავალი სხვ.

ძალიან ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ ამავე მიდგომას უნდა ემყარებოდნენ თავი რიგი – ე. წ. ორბუნებოვანი ღვთაებების – სახელდებისას (იქნებოდნენ ისინი მზისა და მთვარის თუ ქალისა და მამაკაცისადმი კულტისადმი მიძღვნილი, ასე ვთქვათ, კომბინირებული კერპები), მაგალითად, ღერ+მათ-ისათვის. მეტიც, შესაძლოა, ამგვარი წესით მომხდარიყო თვით ცალკეული ღვთაებების (მზის, მთვარის და სხვ.) სახელდება: კერპების თავდაპირველი სახელები შერწყმოდა მათადმი

მიმართვის აღმნიშვნელ სიტყვებს. ქართულ ენას არცთუ ცოტა ასეთი სიტყვა შემორჩენია. ჩვენი ვარაუდით, ამ გზით შეიქმნა ტერმინები: არაქათი (→ არიქა), და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, – **ალაპი**, რაც უნდა მომხდარიყო იმ უძველეს ეპოქაში, როცა ენები ნაკლებად იყო დიფერენცირებული (ალაპის ეტიმოლოგიური წარმოშობის ჩვენგანი ვერსიის თაობაზე იხ. წყარო [3]).

თუ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს შევაჯამებთ და ამასთან, ცოტა შორიდანაც შევხედავთ, ძნელი არ იქნება, შევამჩნიოთ, რომ ისინი რეზონანსში მოდიან **ინ** და **იან**-ის ჩინურ ფილოსოფიასთან (რის თაობაზეც ზემოთ მოკლედ აღვნიშნეთ)! დარწმუნებული ვართ, ამ მიმართულებით, ჩვენგან განსხვავებით, უკვე პროფილური სპეციალისტების მიერ კვლევების განგრძობას მართლაც საინტერესო შედეგების მოტანა ძალუძს.

ქართულ ენობრივ სამყაროს დაეუბრუნდეთ და ვიკითხოთ, ხომ არ დადგა დრო, მოხდეს ისეთი ტერმინების ეტიმოლოგიის გადააზრება (ასე ვთქვათ, ლინგვისტიკური „კერპების“ მსხვერველ, როგორიცაა, მაგალითად:

Georgia, გიორგი, კვირია, ჯგ+რაგ (სვ. წმ. გიორგი), თარგამ-ოსი, მტკვარი და სხვ.?...

აღნიშნულ თემებთან მიმართებით ჩვენს მოსაზრებებს მკითხველს სხვა დროს წარმოუდგენთ, ხოლო დაინტერესებულ პირებს, პირველ რიგში სპეციალისტებს, ვთავაზობთ, იფიქრონ ამ საკითხებზე. კარგი იქნება, თუ ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთს დაემთხვევა.

შემდეგ, უკანასკნელი წლების განმავლობაში მთელს მსოფლიოში შეიმჩნევა ცხოველი ინტერესი ენების სამყაროსადმი, რაზეც მეტყველებს თუნდაც მხოლოდ ერთი ასეთი ფაქტი – დამატებით იმისა, რომ ვიკიპედიაში მსოფლიოში არსებული მეტნაკლებად მნიშვნელოვანი თითქმის ყველა ენისადმი არის მიძღვნილი სტატია, ბოლო ხანებში გაჩნდა მისი განშტოება – ვიკილექსიკონის სახელით ცნობილი საიტების მთელი

წეება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ენებზე. თითოეული მათგანი არის მულტიფუნქციური, მრავალენოვანი ლექსიკონი და თეზაურუსი. ვიკილექსიკონმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა, მაგალითად, მისი რუსული ვარიანტი, დღეისათვის შეიცავს თითქმის მილიონამდე სტატიას სიტყვების, სიტყვათწარმოქმნელი ერთეულების და სიტყვათშეთანხმებების შესახებ მსოფლიოს 450-ზე მეტ ენაზე, ხოლო თვით ინგლისურისათვის სტატიების რაოდენობა 5 მლნ ერთეულს, ენების რიცხვი კი – 3 400-ს აჭარბებს (სამწუხაროდ, საქართველოს ჯერჯერობით ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს).

მაგრამ უდავო ღირსებებთან ერთად ამ სისტემას გააჩნია მნიშვნელოვანი ნაკლიც. კერძოდ, მასში არ გამოიყენება ის შესაძლებლობები, რომლის რეალიზებაც ძალუძთ კომპიუტერულ ექსპერტულ სისტემებს – მხედველობაში გვაქვს ექსპერტული შეფასებების ავტომატიზება და პროგრამული პროცედურების დონეზე დაყვანილი ხელოვნური ინტელექტის მეთოდების მეშვეობით *ადამიანი-მანქანა* დიალოგში გადაწყვეტილებების მიღება.

სწორედ, აღნიშნული მიდგომისათვის შესატყვისი კონცეფციის შემუშავება შეადგენს წამოღებულ ნაშრომის ერთ-ერთ მიზანს.

შესაბამისი დანიშნულების კომპიუტერული სისტემისათვის ჩვენ მიერ შემოთავაზებულია, დავეყრდნოთ არსებულ ორიენტირებულ მიდგომას:

არსი წარმოგვიდგება მნიშვნელოვან, “დასაბამიდან არსებულ” რაიმე ობიექტად, მოვლენად თუ ქმედებად (იგი შესაძლებელია იყოს მდინარე, მიწა, ქვა, ცა, მნათობი... მცენარე, ცხოველი, ადამიანი, სხეულის ნაწილი, მოძრაობა... წვიმა, ელვა, რიტუალური წესჩვეულება...). არსები მოდელირდება კლასების მეშვეობით, მათი რეალიზება კი ხდება კლასის ეგზემპლარებით, რომელშიც დაკონკრეტდება კლასში აღწერილი არსის თვისებები და გამოიძახება შესაბამისი მეთოდები,

რომლებიც შეაფასებენ, მაგალითად, ორ კონკრეტულ სიტყვას შორის ეტიმოლოგიური კავშირის არსებობაზე ჰიპოთეზის მართებულობის ხარისხს. დასაშვებია, ეს სიტყვები სხვადასხვა ენაზეც იყოს მოცემული. კლასთან აგრეგატული მიმართებით დაკავშირდება ქვეკლასები, ხოლო ასოციაციური მიმართებით – განსხვავებული სახის ცნებებიც.

კომპიუტერული სისტემის ცოდნის ბაზაში შეტანილი იქნება არა მარტო რამდენიმე ათეულ ენაზე არსებული “საინტერესო” სიტყვების მარაგი, არამედ ის ცოდნაც, რომლის ბაზაში გადაგზავნაზე თანხმობას განაცხადებს ექსპერტთა ჯგუფი, გაანალიზებს რა სისტემის მიერ მოწოდებულ ვარიანტებს.

მივდივართ სტატიის დასასრულისაკენ და გვსურს, კიდევ ერთ საკითხზე გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება:

არ გამოვირიცხავთ, რომ სიტყვები *срок, сорок*, ასევე ამ ტერმინებთან შინაარსობრივად დაკავშირებული ქართული *ორმოცი* (რელიგიური თვალსაზრისით), *ფრანგული* *quarante* (ორმოცი) და იტალიური *quarantina* (კარანტინი) ერთი და იმავე მოვლენის დაფიქსირების შედეგად იყოს წარმოშობილი – ადამიანის სული მისი გარდაცვალებიდან სწორედ 40 დღე-ღამის შემდეგ ემშვიდობება სააქოს, რასაც ადრე მოგვები აღიქვამდნენ და დღეს ფრიად სერიოზული მკვლევრებიც ეთანხმებიან ამ წარმოდგენებს.

მოგვყავს ამონარიდი აკად. ივერი ფრანგიშვილის მიერ თბილისში წაკითხული მოხსენებიდან [1]:

“როდესაც ადამიანს ვასაფლავენ, ჩვენ ემარხავთ სკაფანდრს, ზედაპირს და არა – სულს. სული უმთავრესია ადამიანში, პოლოგრამის ფანტომის სახით. ის 40 დღის განმავლობაში დასაფლავებულ ადამიანთან იმყოფება, ხოლო შემდეგ ჩვენი სამგანზომილებიანი სამყაროდან გადადის

ოთხ- და ხუთგანზომილებიან ერთგვაროვან სამყაროში, სადაც ღმერთი იმყოფება...”

ძალიან იშვიათად, მაგრამ ღმერთს გარდასული სული შეეხმინება ხოლმე ადამიანებს, ძირითადად ახლობლებს, ზოგჯერ – ერსაც და მათ გარკვეულ რჩევა-დარიგებებს თუ დავალებებსაც აძლევს...

გასათვალისწინებელია ეს რჩევები, მით უფრო – დავალებები...

დასასრულ, ნაწყვეტი კორეელი ქრისტიანი მღვდლის ქადაგებიდან:

„მითხრა რა ეს, ხელი მომიკიდა და მაღალ მთაზე ამიყვანა, იქიდან დამანახა დედამიწა – ბურთისოდენა, რომელიც სწრაფად ახლოვდებოდა. ახლოს რომ მოვიდა, მე დავინახე მრავალი დამშრალი წყარო. როცა შენ ღოცულობდი იმ უცნაური ღოცვით, მე იესომ მითხრა, რომ ჰეშმარიტება მეთქვა შენთვის. შენ იცნობ ამ წყაროებს: ეს იესო ქრისტეა და სულიწმიდა, ნუთუ არ გინდა წახვიდე და აჩვენო ადამიანებს ეს წყაროები. იესო ძალიან მაღე მოვა. სანამ იგი

მოვა, შენ უნდა მიხვიდე ადამიანებთან და შესთავაზო წყალი, რათა მათ დალიონ და განიბანონ ამ წყლით“.

დასკვნა

ენების წარმოშობა-განვითარების საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანი როლის შესრულება ძალუძს ათასწლეულების მანძილზე ხალხების, ცივილიზაციების, მათი კულტურების გზაჯვარედინზე მყოფი ქართველი ერის ენას და მის განშტოებებს, მით უფრო, თუ ძიებათა პროცესში დავეყრდნობით თანამედროვე მეცნიერული დარგების მიერ შემოთავაზებულ კვლევის მეთოდებს. ნაშრომი არის არგუმენტების მოძიების მცდელობა ამ მიმართულებით, რამაც გარკვეული შედეგები უკვე მოიტანა. კვლევების პროცესის მეტი ეფექტიანობით წარმართვის მიზნით, ვიკილექსიკონისათვის შემუშავებულია სტატიების კრებულიდან მისი დიალოგის რეჟიმში მომუშავე კომპიუტერულ სისტემად გადაქცევის კონცეფცია.

ლიტერატურა

1. Gvinepadze G. The subject-oriented linguistics. II international scientific conference "Processing of natural languages. Georgian language and computer technologies". Tbilisi. 2004, 28-29 pp. (in Georgian).
2. Gvinepadze G. Sciences and Ioane-Zosime "Praise and Exaltation of the Georgian Language". I international scientific conference "Science and religion". Tbilisi. 2005. (in Georgian).
3. Gvinepadze G. Some opinions about the origins of Georgian pagan pantheon and script. Journal "Paraleli". #2. 2011, 188-194 pp. (in Georgian).
4. Gvinepadze G. Computer system for etymologic research automation. Scientific-historical journal "Svetitskhoveli". #2. 2011, 35-39 pp. (in Georgian).
5. Gvinepadze G. Concept for etymologic research computer system. International-scientific conference devoted to the automated control systems department 40th anniversary. 2011, 244-247 pp. (in Georgian).
6. Gvinepadze G. New water theory about the origin of languages through mythological, biblical and scientific views. III international conference "Science and religion". Tbilisi. 2014, 313-320 pp. (in Georgian).
7. Gvinepadze G. Using control theory methods for the problems of language origins and development and Wiktionary improvement. International scientific conference "Science and religion" devoted to Academician Iv. Prangishvili 85th anniversary. Tbilisi. 2015, 191-197 pp. (in Georgian).

8. Gvinepadze G. Issues of origins and development of languages through the ages. IV International scientific conference „Computing/informatics, educational sciences, teacher education”. Tbilisi. 2016, 359-364 pp. (in Georgian).
9. Chachanidze G., Gvinepadze G. Advancing language technology to build cross-cultural bridges. Multilingualism in cyberspace proceedings of the Ugra Global Expert Meeting. Interregional Library Cooperation Centre. Moscow. 2016, 257-263 pp. (in Georgian).
10. Giorgobiani A. Fusts – Georgian church military knight's order. 2010. (in Georgian).
11. Prangishvili Iv. Systematic relationship between science and religion, knowledge and faith. I international scientific conference “Science and religion”. Tbilisi. 2005, 42-52 pp. (in Georgian).
12. http://gtu.ge/View/index.html#http://gtu.ge/book/monografiebi/G_Gvinepadze_shemoqmedebiTi_azrpvneba.pdf (in Georgian).
13. <http://www.kvirispalitra.ge/history/31998-chveni-istoriis-ra-saidumlos-inakhavs-qmzis-budeebiq-thanamedrove-observatoriis-tsinapari-dzvel-saqarthveloshi.html> (in Georgian).

UDC 004.5

SCOPUS CODE 1801

ISSUES OF ORIGINS AND DEVELOPMENT OF LANGUAGES THROUGH THE AGES AND THE WIKTIONARY

G. Gvinepadze Department of Software Engineering of Automated Control Systems, Georgian Technical University, 75 M. Kostava str, 0175 Tbilisi, Georgia
E-mail: gvinepadzegela@gmail.com

Reviewers:

G. Surguladze, Professor, Department of Software Engineering of Automated Control Systems, Faculty of Informatics and Control Systems, GTU

E-mail: gsurg@gmx.net

B. Tskhadadze, Doctor of Philology

E-mail: b.tskadadze@gtu.ge

ABSTRACT. Definition of the etymology of words is a complex linguistic challenge, especially when it comes to the original (initial) lexicon. Some scientists consider that study of the etymology of the majority of initial terms is meaningless as these words are considered as not having any motivation for an origin. The research carried out by us gave the following results: for the most part of the original words the key point is the basic concept which is believed to be WATER. According to this supposition, 'hopeless' sequence of the ways of formation of Georgian (and not only Georgian) words has been ascertained. Afterwards, an author defined the stages of the development process of languages related to fire and housing construction. Obviously, in order to extend the investigation, the use of the computer has become necessary. The conception concerning the automated system of the etymological search of words has been elaborated. The program estimates the possibilities of etymological linkage between the words of the similar sounding but at the same time, the paper states that the concluding remarks are to be made by the experts.

KEY WORDS: Expert systems; languages; wiktinary.

UDC 004.5

SCOPUS CODE 1801

ВОПРОСЫ ПРОИСХОЖДЕНИЯ-РАЗВИТИЯ ЯЗЫКОВ В РАЗРЕЗЕ СМЕНЫ ЭПОХ И ВИКИСЛОВАРЬ

Гвинепадзе Г.Ш.

Департамент автоматизированных систем управления, (программная инженерия),
Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75
E-mail: gvinepadzegela@gmail.com

Рецензенты:

Г. Сургуладзе, профессор Департамента автоматизированных систем управления (программная инженерия)
факультета информатики систем управления ГТУ

E-mail: usurg@gmx.net

Б. Цхададзе, доктор филологических наук

E-mail: b.tskadadze@gtu.ge

АННОТАЦИЯ. Установление этимологии слов является сложной лингвистической задачей, особенно когда речь идет об оригинальной (начальной) лексике. Некоторые ученые считают, что для большинства первоначальных терминов поиск этимологии вообще не имеет смысла, так как эти слова не имеют мотивации для происхождения. Проведенные автором статьи исследования дали следующие результаты: для большей части первоначальных слов этимологом является такое исходное, базовое понятие, как ВОДА. Исходя из этого предположения, были определены пути образования ряда «безнадежных» до сих пор в данном плане грузинских (и не только грузинских) слов. Дальше в статье рассматриваются этапы развития языка (языков) по предложенным автором периодам, условно названным им этапами огня и жилищного строительства. Очевидно, чтобы расширить поле для исследований, необходимо в данном процессе использовать компьютер. Разработана концепция системы для автоматизированного определения этимологии слов – оригинальная концепция по совершенствованию викисловаря. Компьютерная программа оценивает возможности этимологической связи между словами подобного звучания, в то же время в статье подчеркивается, что заключительное слово остается за экспертами.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА: викисловарь; экспертные системы; языки.

UDC 624.137.2.046.3

SCOPUS CODE 1909

მთის კლდოვან კალთაზე დაჟრღნოვილი ნებისმიერი მოხაზულობის ზედაპირის მქონე ბრუნვის შემდგომ ბანაბარიშება მდგრადობაზე

ტ. კვიციანი საინჟინრო მექანიკისა და მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი,
მ. კოსტავას 68ბ
E-mail: tarielk @ mail.ru

რეცენზენტები:

გ. ჭოხონელიძე, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის აგული სოხაძის სამოქალაქო და სამრეწ-
ველო მშენებლობის დეპარტამენტის პროფესორი

E-mail: dep45@gtu.ge

ნ. შავლაყაძე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მათემატიკის დეპარ-
ტამენტის პროფესორი

E-mail: nucha @rmi.ge

ანოტაცია. განხილულია პორიზონტისადმი სხვადასხვა კუთხით დახრილ მთის სამ ბრტყელ კლდოვან კალთაზე მდებარე გრუნტის ფერდოს სტატიკური მდგრადობის ამოცანა. ფერდოს გეომეტრული პარამეტრების, გრუნტის ძირითადი მახასიათებლების, ფორული წნევის კოეფიციენტის, დამჭერი და მძვრელი (სეისმური დატვირთვის გათვალისწინებით) ძალების საშუალებით განსაზღვრულია ნებისმიერი განივკვეთის მქონე ფერდოს მდგრადობაზე ძვრის მარაგის $\bar{K}_{\text{ფ}}$ კოეფიციენტი. ამოცანა სტატიკურად განსაზღვრული, რომ იყოს ფერდო ორი ვერტიკალური სიბრტყით პირობითად დაყოფილია სამ მცურავ ბლოკად. ბლოკების ბუნებრივი ზედაპირის გამარტივების მიზნით გამოყენებულია წრფივი აპროქსიმაცია. ფერდოზე მოქმედ ძალებს შორის გვაქვს ხუთი

უცნობი ძალა: P , P_2 , $\bar{N}_1$, $\bar{N}$, $\bar{N}_2$ და მეექვსე მარაგის $\bar{K}_{\text{ფ}}$ კოეფიციენტი. სტატიკის პირობებიდან გამომდინარე, მათ გამოსათვლელად შედგენილია ექვსი განტოლება (ორ-ორი თითოეული ბლოკისთვის), სადაც $\bar{N}_1$, $\bar{N}$ და $\bar{N}_2$ ძვრის სიბრტყის მიმართ ეფექტური ნორმალური ძალებია. განტოლებათა სისტემის ამოხსნით მიღებულია საძიებელი სიდიდის ($\bar{K}_{\text{ფ}}$ -ს) გამოსათვლელი გამოსახულება. ფერდოს გეომეტრული პარამეტრების, გრუნტის მახასიათებლების, ფორული წნევის კოეფიციენტის და სეისმურობის კოეფიციენტის რიცხვითი მონაცემებით შესაძლებელია ვიპოვოთ $\bar{K}_{\text{ფ}}$ -ს რიცხვითი მნიშვნელობა.

საპასუხო სიტყვები: გრუნტი; დაცურების ზედაპირი; მარაგის კოეფიციენტი; მდგრადობა; სიმტკიცე; ფერდო; შეჭიდულობა.

შესავალი


ხშირად დამეწყრილ, დიდი დამრეციანობის მქონე ფერდობზე ხდება მრავალი მასშტაბური პროექტის განხორციელება, როგორებიცაა: სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების მშენებლობა; ჰიდროტექნიკური მშენებლობა და სხვა. მისასვლელი გზების მშენებლობისას ფერდობზე მოქმედი რთული ბუნებრივი ფაქტორების და დატვირთვების (მიწისძვრები და აფეთქებები) ზემოქმედებით ირღვევა ქანებში დამყარებული ბუნებრივი რეჟიმი, იცვლება დაძაბულობის ველი და წარმოიშევა დეფორმაციები. მაშასადამე, ბევრ ადგილას წარმოიქმნება ფერდოს ჩამონაცქევი მასის შესაძლო საშიში დაცურების ზედაპირები. ამიტომ მთის კალთებზე სატრანსპორტო გზების, დამბების, მიწის გაფართოებითი სამუშაოების და სხვა მრავალი მიწის ნაგებობის დაპროექტებისას ფართოდ გამოიყენება და მეტწილად აუცილებელია წინასწარ შევასრულოთ ნებისმიერი მოხაზულობის ფერდობის, მთის კალთებისა და ფერდობზე ნაყარის სტატიკურ მდგრადობაზე გაანგარიშება [1,2,3,4]. საჭიროა აგრეთვე განისაზღვროს დაცურების ზედაპირის ფორმები და მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს მიწის ნაგებობის დაპროექტება [4,5].

დაპროექტების წინა სტადიისათვის ძალიან მწირი მონაცემები მოიპოვება, რადგან აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად თითქმის არ ტარდება სავსე დაკვირვებითი და თეორიული სამეცნიერო კვლევები. სწორედ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა, მეცნიერულ-თეორიული ბაზის შექმნა, აგრეთვე რეალურ გეოლოგიურ პირობებში ფერდობის სტატიკური მდგრადობაზე გაანგარიშების საკმაოდ ზუსტი და მარტივად გამოყენებადი საინჟინრო მეთოდების დამუშავება არის კვლევის ობიექტი.

ძირითადი ნაწილი

განვიხილოთ ერთგვაროვანი გრუნტის ფენე-ბისაგან შემდგარი ნებისმიერი მოხაზულობის ზედაპირის მქონე ფერდოს (ნაყარის) სტატიკური მდგრადობის ამოცანა. ამასთან ფერდოს გრუნტი ხასიათდება ეფექტური შიგა ხახუნის $\bar{\varphi}$ კუთხით (გრადუსი), γ კუთრი წონით (კნ/მ³), ეფექტური შეჭიდულობა $\bar{K}$ (კპა) და ფორული წნევის r_u კოეფიციენტით. ფერდო ეყრდნობა პორიზონტისადმი სხვადასხვა კუთხით დახრილ სამ კლდოვან ბრტყელ მთის კალთას ან მაგარი ქანებისაგან შემდგარ გრუნტის მასივს (საშიში დაცურების ზედაპირებს). შევარჩიოთ Oxz კოორდინატთა სისტემა ისე, როგორც ნაჩვენებია ნახაზზე (იხ. სურ. 1). ფერდო ზევიდან შემოსაზღვრულია ნებისმიერი მოხაზულობის $z=z(x)$ წირით, რომლის ანალიზური სახით ჩაწერა საკმაოდ რთულია, ამიტომ საჭიროა გამოვიყენოთ ფერდოს განიკეთის გამარტივების ბიშოფის მეთოდი, რომელიც ფერდოს მდგრადობაზე გაანგარიშებისას დამპროექტებელს პრობლემას მნიშვნელოვნად გაუადვილებს. ამასთან მიღებული შედეგები რეალურ სურათს კარგი მიახლოებით ასახავს. განსახილველი ფერდო სტატიკურად განუსაზღვრელია, რადგან ფერდოს მასივზე მოქმედი უცნობი ძალების რიცხვი მარაგის კოეფიციენტის ჩათვლით აღემატება სტატიკის წონასწორობის განტოლებათა რიცხვს. იმისათვის, რომ ამოცანა სტატიკურად განსაზღვრული იყოს და შევძლოთ ფერდოს მარაგის კოეფიციენტის განსაზღვრა, საჭიროა ფერდო ორი ვერტიკალური სიბრტყით პირობითად დავეოთ სამ მცურავ ბლოკად და მივიღებთ სამ ნაკვეთურს. შემდეგ მოვახდინოთ მიღებული ნაკვეთურის განიკეთის ზედაპირის აპროქსიმაცია პორიზონტალური და დახრილი წრფეებით. მიღებული სამი ბლოკიდან პირველ მარცხენას და მესამე მარჯვენას სამკუთხედის განიკეთის ფორმა აქვს.

ამასთან თითოეული ნაკვეთური ქვევიდან შემოსაზღვრულია ბუნებრივად არსებული კლდოვანი სიბრტყეებით (საშიში დაცურების ზედაპირებით), რომელთა სიგრძეები ნაკვეთურის ფარგლებში შესაბამისად არის ℓ_1 , ℓ , ℓ_2 . ეს სიბრტყეები პორიზონტისადმი შესაბამისად დახრილია α_1 , α და α_2 კუთხეებით. ბლოკებზე მოდებული გარე ძალები: ბლოკის გრუნტის მოცულობის წონა, დროებითი დატვირთვა, ზედაპირზე მოდებული განაწილებული დატვირთვის ჩათვლით შევცვალოთ შესაბამისად ქვედა, შუა და ზედა ბლოკებზე მოდებულ $\vec{G}_1$, $\vec{G}$ და $\vec{G}_2$ ტოლქმედი ძალებით (სურ. 1). ნაკვეთურის სიმიძის ძალის განსაზღვრის მიზნით (გეომეტრიული პარამეტრების დასადგენად) საჭიროა დავწეროთ თითოეული ბლოკის შემოსაზღვრული წრფეთა განტოლება და მათ საშუალებით გამოვთვალოთ ნაკვეთურის განივკვეთის ფართობი.



სურ. 1. კლდოვან კალთაზე დაყრდნობილი ფერდოს მდგრადობაზე საანგარიშო სქემა

ვიხილავთ ბრტყელ ამოცანას, ე.ი. ნაკვეთურის სისქე $b=1$ მ, მაშინ $\vec{G}_1$, $\vec{G}$ და $\vec{G}_2$ სიმიძის ძალები განისაზღვრება ფორმულებით:

$$G_1 = \frac{1}{2} \gamma \cdot 1 \cdot S_1 \text{ კნ; } G = \frac{1}{2} \gamma \cdot 1 \cdot S \text{ კნ;}$$

$$G_2 = \frac{1}{2} \gamma \cdot 1 \cdot S_2 \text{ კნ,}$$

სადაც γ არის გრუნტის კუთრი წონა (კნ/მ³); S_1 , S და S_2 – ბლოკების განივკვეთის ფართობი (მ²). ფართობის გამოსათვლელად დავწეროთ მათი განივკვეთის შემოსაზღვრული წრფის განტოლებები, გვაქვს:

ქვედა მარცხენა ბლოკი 1 შემოსაზღვრულია წრფეებით (იხ. ნახ. 1):

$$x = \ell_1 \cos \alpha_1; \quad z = x \operatorname{tg} \beta; \quad z = x \operatorname{tg} \alpha_1,$$

მაშინ

$$G_1 = \frac{1}{2} \gamma \cdot S_1 = \frac{1}{2} \gamma \ell_1^2 \left(\operatorname{tg} \beta \cdot \cos^2 \alpha - \frac{1}{2} \sin 2\alpha_1 \right), \text{ კნ. (1)}$$

შუა ბლოკი შემოსაზღვრულია წრფეებით:

$$x = \ell_1 \cos \alpha_1; \quad x = \ell_1 \cos \alpha_1 + \ell \cos \alpha; \quad z = x \operatorname{tg} \beta;$$

$$z = H = \ell_1 \sin \alpha + \ell \sin \alpha + \ell_2 \sin \alpha_2;$$

$$z = x \operatorname{tg} \alpha - (\cos \alpha_1 \cdot \operatorname{tg} \alpha - \sin \alpha_1) \ell_1,$$

მაშინ

$$\begin{aligned} G = \frac{1}{2} \gamma S = \frac{1}{2} \gamma \{ & (\operatorname{tg} \beta - \operatorname{tg} \alpha) (H^2 \operatorname{ctg}^2 \beta - \ell_1^2 \cos^2 \alpha_1) + \\ & + [H^2 \operatorname{ctg}^2 \beta - (\ell_1 \cos \alpha_1 + \ell \cos \alpha)^2] \operatorname{tg} \alpha + \\ & + 2 \ell_1 (\cos \alpha_1 \cdot \operatorname{tg} \alpha - \sin \alpha_1) (H \operatorname{ctg} \beta - \ell_1 \cos \alpha_1) + \\ & + 2 [H + (\cos \alpha_1 \operatorname{tg} \alpha - \sin \alpha_1) \ell_1] \times \\ & \times (\ell_1 \cos \alpha_1 + \ell \cos \alpha - H \operatorname{ctg} \beta) \}. \end{aligned} \quad (2)$$

ზედა მარჯვენა ბლოკი 2 შემოსაზღვრულია წრფეებით:

$$x = \ell_1 \cos \alpha_1 + \ell \cos \alpha; \quad z = H;$$

$$z = x \operatorname{tg} \alpha_2 + \ell_1 \sin \alpha_1 +$$

$$+ \ell \sin \alpha - (\ell_1 \cos \alpha_1 + \ell \cos \alpha) \operatorname{tg} \alpha_2,$$

მაშინ

$$G_2 = \frac{1}{2} \gamma \cdot S_2 = \frac{1}{2} \gamma \ell_1^2 \sin 2\alpha_2. \quad (3)$$

წარმოდგენით ფერდოს მასივის სამ ნაკვეთურად განცალკევების შემთხვევაში აღიძვრება ბლოკებს შორის ურთიერთქმედების შიგა ძალები.

ბი. მაგალითად, ქვედა და შუა ბლოკების გაყოფის ზედაპირის i -ურ წერტილზე მოქმედი შიგა ძალები აკმაყოფილებს პირობას: $\vec{P}_i = -\vec{P}_{i-1}$, $|\vec{P}_i| = |\vec{P}_{i-1}|$, ხოლო ნაკრები ვექტორების მოდულუ-ბია: $P_1 = \sum \vec{P}_{1i} = \sum \vec{P}_{1i-1}$ და $P_2 = \sum \vec{P}_{2i} = \sum \vec{P}_{2i-1}$ - თი. დავუშვათ, რომ ეს ვექტორები პორიზონტი-სადმი დახრილია θ კუთხით, სადაც $\bar{\theta} = \arctg(tg \bar{\theta} / K_{\theta})$ არის ნაყარის მასალის შიგა ხახუნის კუთხე. დაცურების წრიულ-ცილინდ-რული ზედაპირისაგან განსხვავებით უნდა გა-ვითვალისწინოთ ბლოკებზე ძვრაზე სეისმური დატვირთვის გავლენა. ლიტერატურაში არსებობს სეისმურად აქტიურ ზონებად დაყოფის რუკები, სადაც მოცემულია თითოეული ზონის სეისმუ-რობის C_s კოეფიციენტი. მიწისძვრის შემთხვევაში თითოეულ ბლოკის სიმძიმის ცენტრში იმოქმე-დებს შესაბამისი სეისმური ძალის $C_s \vec{G}_1$, $C_s \vec{G}$ და $C_s \vec{G}_2$ პორიზონტალური მდგენელები [6,7,8]. კვლე-ვებით დადგენილია, რომ სეისმურობის კოეფი-ციენტის სიდიდე იცვლება 0.03-დან 0.27-მდე ფარგ-ლებში. ახლა $\vec{G}_1$, $\vec{G}$ და $\vec{G}_2$ ტოლქმედი ძალები მათ მოდების წერტილებში დავშალოთ შესა-ბამისად ნორმალურ $\vec{N}_1$, $\vec{N}$, $\vec{N}_2$ და მხები $\vec{T}_1 = \vec{G}_1 \sin \alpha_1$, $\vec{T} = \vec{G} \sin \alpha$, $\vec{T}_2 = \vec{G}_2 \sin \alpha_2$ ძალებად [9]. გარდა ამისა, ბმებისაგან განთავისუფლების პრინციპის თანახმად ბლოკებზე მოდებული იქნე-ბა დაცურების ზედაპირის ჯამური რეაქციები: $\vec{R}_1 = \sum \vec{R}_{1i} = \vec{N}_1 + r_u \vec{G}_1 \cos \alpha_1$, $\vec{R} = \sum \vec{R} = \vec{N} + r_u \vec{G} \cos \alpha$ და $\vec{R}_2 = \sum \vec{R}_{2i} = \vec{N}_2 + r_u \vec{G}_2 \cos \alpha_2$ აგრეთვე ამ ზედა-პირებზე მოდებული იქნება ძვრაზე წინააღმდე-გობის ანუ დამჭერი ძალები: $F_{1\bar{\theta}} = T_1 = (\vec{K}_1 \ell_1 + \vec{N}_1 tg \bar{\theta}_1) / K_{\theta_1}$, $F_{\bar{\theta}} = T = (\vec{K} \ell + \vec{N} tg \bar{\theta}) / K_{\theta}$ და $F_{2\bar{\theta}} = T_2 = (\vec{K}_2 \ell_2 + \vec{N}_2 tg \bar{\theta}_2) / K_{\theta_2}$ [9,10]. ამრიგად,


სამ ბლოკზე მოდებული შიგა და გარე ძალები-დან გვაქვს ექვსი უცნობი სიდიდე: P_1 , P_2 , $\vec{N}_1$, $\vec{N}$, $\vec{N}_2$ და K_{θ} . სტატიკის პირობებიდან გამომ-დინარე, მათ გამოსათვლელად შეიძლება შევად-გინოთ ექვსი განტოლება (ორ-ორი თითოეული ბლოკისთვის), სადაც $\vec{N}_1$, $\vec{N}$ და $\vec{N}_2$ ძვრის სიბრტყის მიმართ ეფექტური ნორმალური ძალე-ბია. მაშასადამე, ვიხილავთ შემთხვევას, როცა არსებობს ფორული წნევები. ფერდობის მდგრა-ლობაზე გაანგარიშებისას, როცა ვიხილავთ დამყარებულ ფილტრაციას და სწრაფი დამუშა-ვების მეთოდს, სასურველია დეპრესიის პროგ-ნოზირებული ზედაპირის საშუალებით წინას-წარ განისაზღვროს ფორული წნევა. მაგრამ გა-მარტივებული მეთოდით გაანგარიშებისას ამ პი-რობის შესრულება შეუძლებელია. ამიტომ ფერ-დოს მდგრალობის გაანგარიშებებში ფორული წნევის ეფექტის გასათვალისწინებლად გამოი-ყენება გრუნტის მდგომარეობის პარამეტრი, რომელსაც ფორული წნევის კოეფიციენტი ეწო-დება და აღინიშნება r_u სიმბოლოთი [6]. ფორუ-ლი წნევის კოეფიციენტს გამოსახავენ სრული ფორული წნევის ფარდობით დეპრესიის ზე-დაპირის ზემოთ მდებარე გრუნტით გამოწვეულ სრულ წნევასთან ანუ წყლის ზემოქმედებით გა-მოწვეულ და ზემოთ მიმართულ სრული ძალის ფარდობით დეპრესიის ზედაპირის ზემოთ მდე-ბარე გრუნტის წონით გამოწვეულ და საპი-რისპიროდ მიმართულ სრულ ძალასთან. არქი-მედეს კანონის თანახმად ამომგდები ძალა ტო-ლია ჩამონაქცევი პრიზმის მიერ განდევნილი წყლის მოცულობის წონის. ქვევით მიმართული ძალა კი ჩამონაქცევი პრიზმის წონის ტოლია. მაშასადამე, ფორული წნევის კოეფიციენტი შეიძლება განესაზღვროთ შემდეგი ფორმულით:

$$r_u = \frac{V_1 \gamma}{V \gamma_s}, \quad (4)$$

სადაც V_1 არის წყალქვეშ მოქცეული ჩამონაქცევი პრიზმის მოცულობა; γ – წყლის კუთრი წონა; V – ჩამონაქცევი პრიზმის მოცულობა; γ_g – გრუნტის კუთრი წონა. რადგან წყლის კუთრი წონა მიახლოებით გრუნტის ხვედრითი წონის ნახევრის ტოლია, ამიტომ ფორული წნევის კოეფიციენტი მიახლოებით გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$r_u = \frac{S_1}{2S}, \quad (5)$$

სადაც S_1 არის წყალქვეშ მოქცეული პრიზმის ფართობი; S – ჩამონაქცევი პრიზმის საერთო ფართობი.



სურ. 2. ფორული წნევის განსაზღვრის სქემები

იმისათვის, რომ დაცურების ზედაპირზე შევამციროთ ეფექტური ძაბვები მდგრადობის ყველა გამარტივებული მეთოდით გაანგარიშების დროს ვსარგებლობთ (4) ფორმულით განსაზღვრულ ფორული წნევის კოეფიციენტის მნიშვნელობით. ამისათვის შესაბამის ფორმულებში ნამრავლის სახით შეგვყავს $(1-r_u)$ გამოსახულება. ამრიგად, განსახილველი ამოცანა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ფერდოს გეომეტრული პარამეტრების, გრუნტის ძირითადი მახასიათებლების, ფორული წნევის კოეფიციენტის, დამჭერი და მძვრელი ძალების (სეისმური დატვირთვების გათვალისწინებით) საშუალებით განესაზღვროთ ფერდოს ძვრაზე მდგრადობის მარაგის $\bar{K}_{\partial\partial}$ კოეფიციენტი, როცა ის ეყრდნობა ჰორიზონტისადმი სხვადასხვა კუთხით დახრილ მთის სამ ბრტყელ კლდოვან კალთას ან მაგარ ქანებს.

მე-2 სურათზე ნახვენებია ფორული წნევის კოეფიციენტის განსაზღვრის მაგალითები, როცა ჩამონაქცევი პრიზმის დაცურების ზედაპირი ბრტყელი ან წრიულცილინდრულია. თუ ცნობილია დაცურების ზედაპირის ფორმა, მაშინ ფორული წნევის კოეფიციენტი შეიძლება განესაზღვროთ (1) ან (2) ფორმულების საშუალებით. თუ დაცურების ზედაპირი უცნობია, მაშინ ფორული წნევის კოეფიციენტის განსაზღვრის მიზნით აუცილებელია სათანადო დასაბუთება ან აპრიორული ცდა.

ვიხილათ ბრტყელ ამოცანას, ე.ი. ფერდოს ნაკვეთურზე (ბლოკზე) მოქმედებს Oxy სიბრტყეში მდებარე ნებისმიერი ძალთა სისტემა. სტატიკის პირობებით თითოეული ნაკვეთურისათვის შევადგინოთ წონასწორობის განტოლებები. მარცხენა ქვედა ბლოკისათვის გვექნება:

$$\sum_{i=1}^n F_{iz} = T_1 \sin \alpha_1 + \bar{N}_1 \cos \alpha_1 + r_u G_1 \cos^2 \alpha_1 - G_1 - P_1 \sin \theta = 0, \quad (6)$$

$$\sum_{i=1}^n F_{ix} = T_1 \cos \alpha_1 + N_1 \sin \alpha_1 -$$

$$-r_u G_1 \sin^2 \alpha_1 \cos \alpha_1 - P_1 \cos \theta - C_s \cdot G_2 = 0, \quad (7)$$

სადაც T_1 ძვრის ზედაპირზე მძვრელი ძალევაა, მის საწინააღმდეგოდ მიმართული ხახუნის ძალის გამრავლებით $K_{\partial\partial}$ -ზე, მივიღებთ:

$$T_1 = (\bar{K}_1 \ell_1 + \bar{N}_1 \cdot tg \bar{\phi}) / K_{\partial\partial}. \quad (8)$$

(6), (7) და (8) განტოლებების საშუალებით ვიპოვოთ $\bar{N}_2$ და, მივიღებთ

$$\bar{N}_1 = \frac{G_1 [\cos \bar{\theta} - r_u \cos \alpha_1 \cos(\bar{\theta} - \alpha_1) - C_s \sin \theta] + [C_1 \ell_1 \sin(\bar{\theta} - \alpha_1)] / K_{\partial 3}}{\cos(\theta - \alpha_1) - [tg \bar{\varphi}_1 \cdot \sin(\bar{\theta} - \alpha_1)] / K_{\partial 3}}, \quad (9)$$

ხოლო (7) განტოლებიდან მივიღებთ:

$$P_1 = (T_1 \cos \alpha_1 - \bar{N}_1 \sin \alpha_1 - r_u G_1 \sin \alpha_1 \cos \alpha_1 - C_s \cdot G_1) / \cos \bar{\theta}, \quad (10)$$

სადაც $\bar{N}_1$ განისაზღვრება (9) ფორმულით. ზედა მარჯვენა ბლოკისათვის (ბლოკი 2) გვექნება:

$$\sum_{i=1}^n F_{iz} = P_2 \sin \bar{\theta} + \bar{N}_2 \cos \alpha_2 + r_u G_2 \cos^2 \alpha_2 + T_2 \sin \alpha_2 - G_2 = 0, \quad (11)$$

$$\sum_{i=1}^n F_{ix} = P_2 \cos \bar{\theta} - \bar{N}_2 \sin \alpha_2 - r_u G_2 \cos^2 \alpha_2 \sin \alpha_2 - C_s G_2 + T_2 \cos \alpha_2 = 0, \quad (12)$$

$$F_{2g} = T_2 = (\bar{K}_2 \ell_2 + \bar{N}_2 tg \bar{\varphi}_2) / K_{\partial 3}. \quad (13)$$

(11), (12) და (13) განტოლებების საშუალებით გამოვსახოთ $\bar{N}_2$ და P_2 , გვექნება:

$$\bar{N}_2 = \frac{G_2 [\cos \bar{\theta} - r_u \cos \alpha_2 \cos(\bar{\theta} - \alpha_2) - C_s \sin \bar{\theta}] + \bar{K}_2 \ell_2 [\sin(\bar{\theta} - \alpha_2)] / K_{\partial 3}}{\cos(\theta - \alpha_2) - [tg \bar{\varphi}_2 \cdot \sin(\bar{\theta} - \alpha_2)] / K_{\partial 3}}, \quad (14)$$

ხოლო (12) განტოლებიდან მივიღებთ:

$$P_2 = (\bar{N}_2 \sin \alpha_2 - T_2 \cos \alpha_2 + r_u G_2 \cos \alpha_2 \sin \alpha_2 + C_s \cdot G_2) / \cos \bar{\theta}, \quad (15)$$

სადაც T_2 და $\bar{N}_2$ განისაზღვრება (13) და (14) განტოლებებიდან. შუა ბლოკისათვის გვექნება:

$$\sum_{i=1}^n F_{iz} = P_1 \sin \bar{\theta} - P_2 \sin \theta + \bar{N} \cos \theta + r_u G \cos^2 \alpha + T \sin \alpha - G = 0, \quad (16)$$

$$\sum_{i=1}^n F_{ix} = P_1 \cos \bar{\theta} - P_2 \cos \theta - \bar{N} \sin \theta - r_u G \cos \alpha \sin \alpha + T \cos \alpha - C_s G = 0, \quad (17)$$

$$T = (\bar{K} \ell + \bar{N} tg \bar{\varphi}) / K_{\partial 3}. \quad (18)$$

(16), (17) და (18) განტოლებების საშუალებით გამოვსახავთ $\bar{N}$ და P_2 -ს გვექნება:

$$\bar{N} = \frac{G(1 - r_u \cos^2 \alpha) + (P_2 - P_1) \sin \theta - K \ell \sin \alpha / K_{\partial 3}}{\cos \alpha + tg \bar{\varphi} \cdot \sin \alpha / K_{\partial 3}}. \quad (19)$$

P_1 , P_2 , T და $\bar{N}$ სიდიდეებიდან თითოეული K_{ϕ} ფუნქციებია, და შეიძლება განესაზღვროთ შესაბამისად (10), (15), (18) და (19) განტოლებებიდან. მაშასადამე, (17) განტოლება შეიძლება ჩაეწეროს შემდეგი სახით:

$$f(K_{\phi}) = (P_1 - P_2) \cos \bar{\theta} - \bar{N} \sin \alpha - \\ - r_u G \cos \alpha \sin \alpha + T \cos \alpha - C_s G = 0. \quad (20)$$

შენიშვნა: თუ (8), (9), (10), (13), (14), (15), (18) და (19) გამოსახულებებს მნიშვნელობებს თანდათან ჩავსვამთ შესაბამის ადგილებში, მაშინ მივიღებთ $\bar{K}_{\phi}$ -ს მიმართ ალგებრულ განტოლებას, რომლის გამოსავლელად საჭიროა ეგმ-ის გამოყენება. ამასთან $\vec{G}_1$, $\vec{G}$ და $\vec{G}_2$ სიმძიმის ძალების განსაზღვრისას (1), (2) და (3) ფორმულებში ჩავსვათ შემდეგი მონაცემებიდან: $\alpha_1 \in [0; 14]^\circ$; $\beta \in [28^\circ; 42^\circ]$; $\ell_1 \in [50; 95]$, მ; $\alpha \in [14^\circ; 30^\circ]$; $\ell \in [30; 65]$, მ;

$\alpha_2 \in [20^\circ; 48^\circ]$; $\ell_2 \in [50; 140]$ მ; $\gamma = 19,6$ კნ/მ³; $\gamma = 18,8$ კნ/მ³.

დასკვნა

სტატიკურად განსაზღვრული ამოცანის მისაღებად [10] ნაშრომში ფერდოს ნაკვეთურებად განცალკევებით წარმოქმნილი შიგა ძალები განგარიშების გამარტივების მიზნით მიემართეთ ჰორიზონტალურად და მარაგის კოეფიციენტის რიცხვითი მნიშვნელობის გამოთვლა შესაძლებელი გახდა კალკულატორითაც. ამოცანა საკმაოდ რთულდება, თუ შიგა ძალებს ჰორიზონტალში დავხრით $\bar{\theta}$ კუთხით, რომელიც დამოკიდებულია ნაყარის მასალის შიგა ხახუნის კუთხეზე, ამ შემთხვევაში მარაგის კოეფიციენტის გამოსათვლელად მიიღება K_{ϕ} -ს მიმართ არაწრფივი ალგებრული განტოლება, რომლის ამოსახსნელად საჭიროა შედგეს კომპიუტერული პროგრამა ეგმ-ის გამოსაყენებლად.

ლიტერატურა

1. Bishop A.W. The use of the slip circle in the stability analysis of slopes. Geotechnique. Vol . 5. No. 1. 1955, 7-17 pp. (in English).
2. Arsentyev A. I., Bukin I. I., Mironenko V. A. Wall stability and quarry reclamation. Nedra. M., 1982, 164 p. (in Russian).
3. Morgenstern N. Stability chart for earth slopes during rapid drawdown. The institution of civil engineers. London. 1963. (in English).
4. Kvitsiani T., Gedenidze Z., Khutsishvili G. Assessment of slope stability in case of sliding over a smooth curvilinear surface. GTU Collection of Works. N4 (470). Tbilisi. 2008, 13-18 pp. (in Georgian).
5. Kvitsiani T. Change of the boundary deflected mode of a slope ground during the mining works. Scientific-technical journal "Mshenebloba". Tbilisi. 2016, 15-21 pp. (in Georgian).
6. Huang Yang H. Stability analysis of earth slopes. Van Nostrand Reinhold Company, New York. 1983, 49 p. (in English).
7. Verruijt A. Soil mechanics. Delft University of Technology. 2001. (in English).
8. Chowdhury R. Geotechnical slope analysis. CRC Press (Taylor & Francis). 2010. (in English).
9. Tsitovich N.A. Soil mechanics. Vysshaya shkola. Moscow. 1983. (in Russian).
10. Kvitsiani T. Calculation of the fill shear strength over a flat sloping ground. GTU Collection of Works N2 (504). Tbilisi. 2017, 43-55 pp. (in Georgian).
11. Kvitsiani T. Calculation of the stability of the ground slope with a trapezoid section located on the mountain rocky slope. GTU Collection of Works N2 (504). Tbilisi. 2017, 56-68 pp. (in Georgian).

UDC 624.137.2.046.3

SCOPUS CODE 1909

CALCULATION OF THE STABILITY OF THE GROUND SLOPE WITH THE SURFACE OF ANY SHAPE LOCATED ON THE MOUNTAIN ROCKY SLOPE

T. Kvitsiani

Department of Engineering Mechanics and Civil Engineering Technical Expertise, Georgian
Technical University, 68^b M. Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia
E-mail: tarielk@mail.ru

Reviewers:

G. Chokhanelidze, Professor, Aguli Sokhadze Department of Civil and Industrial Engineering, Faculty of Civil
Engineering, GTU

E-mail: dep45@gtu.ge

N. Shavlakadze, Professor, Department of Mathematics, Faculty of informatics and control systems, GTU

E-mail: nucha@rmi.ge

ABSTRACT. The problem of static stability of a ground slope based on three rocky mountain slopes inclined to the horizon at different angles is considered. The geometric parameters of the slope, principal properties of the ground, pore pressure coefficient and retention and shear forces (taking into account the seismic load) were used to calculate the shear assurance factor for the stability of a slope with the section of any shape. The calculation is done through the theoretical analysis of homogenous slopes in effective stresses. A statistically undefined problem is reduced to the statistically defined one, and the slope is divided into three sloping blocks with two vertical planes for this purpose, and a Bishop method of the natural surface simplification for the blocks is used. Out of the internal and external forces acting on the slope cells, there are six unknown parameters. They are calculated by using six equations (two equations for each block) following the condition of statics. An expression to calculate the reserve coefficient is obtained from the system of equations and a method to determine the pore pressure coefficient is given. The equation obtained through the numerical results of the real geometric parameters of the slope, ground properties, pore pressure and seismicity factors is used to calculate the numerical value of the reserve coefficient.

KEY WORDS: Adherence; ground; reserve coefficient; slope; sloping surface; stability.

UDC 624.137.2.046.3

SCOPUS CODE 1909

РАСЧЕТ УСТОЙЧИВОСТИ ГРУНТОВЫХ ОТКОСОВ ЛЮБОГО ОЧЕРТАНИЯ, ПРИСЛОНЕННЫХ НА ГОРНОМ СКАЛЬНОМ СКЛОНЕ

Квициани Т.А. Департамент технической экспертизы инженерной механики и строительства, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 68^б
E-mail: tarielk @ mail.ru

Рецензенты:

Г. Чохонелидзе, д.т.н., профессор Департамента гражданского и промышленного строительства А. Сохадзе строительного факультета ГТУ

E-mail: dep45@dtu.ge

Н. Шавлакадзе, профессор Департамента математики факультета информатики и систем управления ГТУ

E-mail: nucha@rmi.ge

АННОТАЦИЯ. Рассмотрена задача статической устойчивости грунтового откоса посредством: геометрических параметров откоса, основных характеристик грунта, коэффициента порового давления, действующих на откос, задерживающих и сдвигающих (с учетом сейсмической нагрузки) сил. Следует определить коэффициент запаса на сдвиг откоса любого очертания, когда он опирается на три плоских скальных склона, наклоненных к горизонту под различными углами. Расчеты проведены для однородного откоса по методу анализа в эффективных напряжениях.

Задача статически определена таким образом, что откос условно разделен на три плавающих блока и при расчете применен метод упрощения природной поверхности блоков с помощью линейной интерполяции. Среди внешних и внутренних сил, действующих на блоки, имеем 6 неизвестных с учетом коэффициента запаса. Исходя из условия статики, составлена система уравнений равновесия (по две длины каждому блоку), которая доведена до алгебраического уравнения по отношению к искомому неизвестному. По числовым значениям геометрических параметров одного из реальных откосов, характеристике грунта, коэффициенту порового давления и коэффициенту сейсмичности можно определить коэффициент запаса на сдвиг откоса любого очертания.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА: грунт; коэффициент запаса; откос; поверхность скольжения; сцепление; устойчивость.

UDC 621.311

SCOPUS CODE 2105

კლიერი იმპულსური მაგნიტური ველის გენერატორის პარამეტრების განსაზღვრა

- შ. ნემსაძე** ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: sh-nemsadze@mail.ru
- მ. გიუაშვილი** ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: m_giuashvili@mail.ru
- აგ. ტორონჯაძე** ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75
E-mail: toronjadze.a@yandex.ru

რეცენზენტები:

- მ. ცეცხლაძე**, სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი
E-mail: merabi.tsetskhladze@mail.ru
- გ. ცხომელიძე**, სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ელექტრომოსხმარების ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასოც. პროფესორი
E-mail: guram.65@mail.ru

ანოტაცია. მოყვანილია ძლიერი იმპულსური მაგნიტური ველის გამოყენების სფეროები, აღნიშნულია მათი გამოყენების ეფექტურობა და შესაბამისად დასმული პრობლემის აქტუალობა. მოყვანილია აგრეთვე ძლიერი იმპულსური მაგნიტური ველის გენერატორის ძირითადი ნაწილის იმპულსური დენის გენერატორის პრინციპული ელექტრული სქემა და ძირითადი პარამეტრები, გენერატორის პროექტირების დროს მათი განსაზღვრის მეთოდოლოგია. აღნიშნულია, რომ იმპულსური მაგნიტური ველი ლითონის კონსტრუქციაზე ზემოქმედებისას წარმოშობს იმპულსურ დეფორმაციებს და აჩქარებებს კონს-

ტრუქციაში (ლითონის დეროში), რომელიც ვრცელდება ტალღების სახით და შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც მექანიკური დარტყმითი მოქმედების დანადგარი კონსტრუქციული მასალების დინამიკური მახასიათებლების დასადგენად, აგრეთვე სხვადასხვა ობიექტის (ნახევარგამტარული ხელსაწყო, პიეზოელექტრული, ტენზომეტრული გამზომი გარდამსახები) დარტყმამედგობის, დარტყმამდგრადობის და სხვა დინამიკური მახასიათებლების დასადგენად. აღნიშნულია აგრეთვე ეფექტურობა მაგნიტურ-იმპულსური მეთოდით სპილენძის, ალუმინის და მათი შენადნობებისაგან დამზადებული ღერძული სიმეტრიის მქონე დეტალების აწობა-შედულების

ტექნოლოგია, როდესაც შესაძლებელი დეტალები ისეა განლაგებული, რომ მათი შეხების ზედაპირის საკონტაქტო წინაღობა ჩართულია იმპულსური მაგნიტური ველით ინდუქცირებული დენის კონტურში და ხდება მათი შედუღება. ამ დროს შესაძლებელი დეტალების საკონტაქტო ზონაში გამოიყოფა სითბური ენერგია, დეტალების შეხების ზედაპირების მოღებობა, მათი მაგნიტურ-იმპულსური შედუღება დიდი იმპულსური წნევების ქვეშ, რაც უზრუნველყოფს შედუღების მაღალ ხარისხს. ასევე ეფექტურია მაგნიტურ-იმპულსური და ელექტრორკალური პლაზმატრონული ტექნოლოგიების სინთეზი, რაც საშუალებას იძლევა ჩანაცვლდეს ძვირად ღირებული დეტონაციური ტექნოლოგიები. აღნიშნულია, რომ გენერატორის ეფექტური მუშაობისათვის მნიშვნელოვანია მუშა სიხშირის შერჩევა. დასმულია და გადაწყვეტილი მუშა სიხშირის განსაზღვრის ოპტიმიზაციის ამოცანა და მიღებული შედეგებით აგებულია ნომოგრამა, რომლის საშუალებით მაგალითისათვის, ილუსტრაციის მიზნით, განსაზღვრულია ოპტიმალური სიხშირე მოცემული პარამეტრების მქონე დანადგარისათვის მაქსიმალური წნევის განვითარების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: ინდუქტორი; ინდუქციურობა; კონდენსატორების ბატარეა; მუშა სიხშირე; ოპტიმალური სიხშირე; ძლიერი იმპულსური მაგნიტური ველი; წნევა ლითონის ზედაპირზე.

შესავალი

ძლიერი იმპულსური მაგნიტური ველი ახდენს ლითონის ზედაპირზე ძალურ დარტყმით ზემოქმედებას და ფაქტიურად გადაქცეულია ეფექტურ ინსტრუმენტად მრეწველობაში ფურცლოვანი ან მილის ფორმის ლითონის ნამზადის დეფორ-

მირებისათვის, მაგალითად, მოწნეხა, ტვიფრა, ღუნვა, სწორება, დაკალიბრება და სხვა მაფორმირებელი და დამყოფი ოპერაციები, რომლებიც სრულდება დეფორმაციის რომელიმე სქემით: მოჭერა, გაშლა ან ბრტყელი ტვიფრა. ყველა შემთხვევაში იმპულსური მაგნიტური ველი ასრულებს პუანსონის ან მატრიცის როლს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძნელად დეფორმირებადი ლითონების დამუშავებისას [1].


იმპულსური მაგნიტური ველი ლითონის კონსტრუქციაზე ზემოქმედებისას წარმოშობს იმპულსურ დეფორმაციებს და აჩქარებებს კონსტრუქციაში (ლითონის ღეროში), ვრცელდება ტალღების სახით და შეძლება გამოიყენოთ, როგორც მექანიკური დარტყმითი მოქმედების დანადგარი კონსტრუქციული მასალების დინამიკური მახასიათებლების დასადგენად, აგრეთვე სხვადასხვა ობიექტის (ნახევარგამტარული ხელსაწყოები, პიეზოელექტრული, ტენზომეტრული გამზომი გარდამსახები) დარტყმამდეგობის, დარტყმამდგრობის და სხვა დინამიკური მახასიათებლების დასადგენად.

ეფექტურია აგრეთვე მაგნიტურ-იმპულსური მეთოდით სპილენძის, ალუმინის და მათი შენადნობებისაგან დამზადებული ღერძული სიმეტრიის მქონე დეტალების აწობა-შედუღების ტექნოლოგია, როდესაც შესაძლებელი დეტალები ისეა განლაგებული, რომ მათი შეხების ზედაპირის საკონტაქტო წინაღობა ჩართულია იმპულსური მაგნიტური ველით ინდუქცირებული დენის კონტურში და ხდება მათი შედუღება. ამ დროს შესაძლებელი დეტალების საკონტაქტო ზონაში გამოიყოფა სითბური ენერგია, დეტალების შეხების ზედაპირების მოღებობა, მათი მაგნიტურ-იმპულსური შედუღება დიდი იმპულსური წნევების ქვეშ, რაც უზრუნველყოფს შედუღების მაღალ ხარისხს. ასევე ეფექტურია მაგნიტურ-იმპულსური და ელექტრორკალური პლაზმატრონული ტექნოლოგიების სინთეზი, რაც საშუალებას იძლევა

ჩანაცვლდეს ძვირად ღირებული დეტონაციური ტექნოლოგიები.

პრობლემის ატულობა და არსი

ზემოთ აღნიშნულ ნებისმიერი ტექნოლოგიური პროცესისათვის გამოყენებული მაგნიტურ-იმპულსური დანადგარის ძირითადი ნაწილია იმპულსური დენის გენერატორი, რომლის პრინციპული ელექტრული სქემა ნაჩვენებია 1-ელ სურათზე. სადაც C არის კონდენსატორების ბატარეის ტევადობა, K – კომუტატორი, R_3, L_3 – განმუხტვის კონტურის პარამეტრები (დატვირთვის გარეშე), R_{Σ}, L_{Σ} – დატვირთვის (ინდუქტორი) პარამეტრები. აქ განმუხტვის კონტურის პარამეტრები (პარაზიტული) R_3 არის კონდენსატორების ბატარეის, კომუტატორის და დატვირთვის შემადგენელი სადენების აქტიური წინაღობა და $L_3 = L_{\text{კონ}} + L_{\text{კომ}} + L_{\text{შს}}$ – მათი ჯამური ინდუქციურობა. გენერატორის სქემატური და რეჟიმული პარამეტრების ოპტიმალურ შერჩევას აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა ტექნოლოგიური პროცესის მაღალი ეფექტურობისათვის.



სურ.1. ძლიერი იმპულსური მაგნიტური ველის გენერატორის განმუხტვის კონტურის სქემა

გენერატორის პარამეტრებიდან უმნიშვნელოვანესია მუშა სიხშირე, რომელიც მკვეთრად რეგულირებადი მთელი რიგი ფაქტორების გამო. ნებისმიერი მაგნიტურ-იმპულსური დანადგარის მოქმედება ემყარება ზედაპირულ და სიახლოვის

ეფექტებს, როდესაც ცვალებადი მაგნიტური ველის ლითონში შეღწევის სიღრმე შეზღუდულია. დაბალი სიხშირეების დროს ველი ღრმად აღწევს ლითონში, მაგნიტური ველი განაწილებულია დიდ სივრცეში და ძნელია ლითონის ზედაპირთან მაგნიტური ინდუქციის მაღალი მნიშვნელობის მიღწევა. დიდი სიხშირეების დროს ველი ვერ შედის ღრმად ლითონში. მაგნიტური ველი შემოფარგლული და კონცენტრირებულია შეზღუდულ გარემოში, რაც საშუალებას იძლევა მივაღწიოთ მაგნიტური ნაკადის დიდ სიმკვრივეს (მაგნიტური ინდუქცია). როგორც წესი, ლითონების დეფორმაციის პროცესის წარმართვისათვის მის ზედაპირზე მაგნიტური ინდუქცია უნდა აღწევდეს 30-50 ტესლას მაინც, ამიტომ იმპულსური დენის გენერატორის სიხშირე პრაქტიკულად არ შეიძლება იყოს 8-10 კჰც-ზე ნაკლები. სიხშირის ზედა ზღვარი შემოფარგლულია გენერატორის კონსტრუქციული პარამეტრებით და შეადგენს 100-150 კჰც.

ძირითადი ნაწილი

იმპულსური დენის გენერატორებში ენერგიის წყაროდ უმთავრესად გამოიყენება მაღალი ძაბვის იმპულსური კონდენსატორები, რომლებშიც კონსტრუქციული სრულყოფით მიღწეულია მცირე საკუთარი ინდუქციურობა. ბატარეაში დაგროვილი ენერგია პროპორციულია ტევადობის, მაგრამ მძლავრი გენერატორის ასაგებად ტევადობის გაზრდა იწვევს გენერატორის სიხშირის შემცირებას, რაც ამცირებს გენერატორის გამოყენების არეალს და მის ეფექტიანობას. მეორე მხრივ, საჭირო რაოდენობის ენერგიის დაგროვებისათვის კონდენსატორების ელექტრულ ველში დაგროვოლი ენერგიის გამოსათვლელი ფორმულიდან $w_e = CV^2 / 2$ გამომდინარე საჭირო იქნება ენერგიის დაგროვებისას კონდენსატორების დამუხტვა მაღალი ძაბვით. ამგვარად, მაგნიტურ-იმპულსურ ტექნოლოგიებში მისაღები სიხშირეების მისაღწევად საჭი-

როა მაღალი ძაბვის იმპულსური კონდენსატორების გამოყენება და საერთოდ გენერატორის შესრულება, როგორც მაღალი ძაბვის მოწყობილობისა. n რაოდენობის მქონე პარალელურად შეერთებული ერთნაირი კონდენსატორების ბატარეის ეკვივალენტური ტევადობა $C_{\text{კვ}} = nC$, ხოლო ბატარეის ინდუქციურობა $L_{\text{კვ}} = L/n$, ე.ი. ბატარეის საკუთარი რხევების კუთხური სიხშირე $\omega = 1/\sqrt{L_{\text{კვ}}C_{\text{კვ}}} = \sqrt{LC}$ იგივეა, რაც ერთი კონდენსატორის საკუთარი რხევების სიხშირე. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში წარმოებული მაღალი ძაბვის იმპულსური კონდენსატორის ИК-25-12У4 პარამეტრებია $C=12\text{მკფ}$, $L=40\text{ნჰ}$, $V=25\text{კვ}$ და მისი საკუთარი რხევების ციკლური სიხშირე $f = 2\pi/\sqrt{40 \cdot 10^{-9} \cdot 12 \cdot 10^{-6}} \approx 9 \text{ მგჰც}$. ამ სიდიდის პრაქტიკული განსაზღვრის დროს მიღებული შედეგი გაცილებით დაბალია, ვინაიდან განმუხტვის კონტურში ერთვება კონდენსატორის პოლუსების შემაერთებული გამტარი, რომლის ინდუქციურობა გაცილებით მეტია, ვიდრე კონტურის დანარჩენი ნაწილის ინდუქციურობა.

ამრიგად, ძლიერი იმპულსური მაგნიტური ველის გენერატორის პროექტირებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუშა ძაბვისა და ტევადობის გარდა ოპტიმალური მუშა სიხშირის შერჩევას. ვინაიდან მოწყობილობის მოქმედება ემყარება ზედაპირული ეფექტის მოვლენას, თითქოს უპირატესობა უნდა მიეცეს მაღალ სიხშირეს, რადგან სწორედ ამ დროს მაგნიტური ველი ვერ შედის ღრმად გამტარ გარემოში. დენს აქვს პრაქტიკულად ზედაპირული ხასიათი და მაგნიტური ველი კონცენტრირდება ინდუქტორის ფორმით წარმოდგენილი გენერატორის დატვირთვის გამტარ სხეულებს შორის არსებულ მინიმალურ საჰაერო (არადენგამტარ) სივრცეში. შესაბამისად, დიდი იქნება მაგნიტური ნაკადის სიმკვე-


რივე (მაგნიტური ინდუქცია) და გამტარ სხეულებზე განვითარებული მექანიკური ზემოქმედება.

მუშა სიხშირეზე დამოკიდებული აგრეთვე დატვირთვის ტექნოლოგიურ სივრცეში დეფორმაციის ენერგიასა და კინეტიკურ თუ სითბურ ენერგიებს შორის თანაფარდობა. თუ დატვირთვა არის ლითონების დეფორმაციისათვის განკუთვნილი მოწყობილობა, სასურველია, რომ დატვირთვაში ლითონის დეფორმაციის ენერგია იყოს განმსაზღვრელი, რაც მიიღწევა შედარებით დაბალი სიხშირეების დროს. თუ დატვირთვა არის იმპულსური შედეგების, პლაზმური და სხვა მსგავსი ტექნოლოგიური პროცესის განსახორციელებელ დანადგარს, დატვირთვაში უნდა სჭარბობდეს სითბური ენერგია.

განსაზღვრით იმპულსური მაგნიტური ველის გენერატორის ოპტიმალური სიხშირე დატვირთვაში ლითონის ზედაპირზე მაქსიმალური წნევის განვითარების თვალსაზრისით, როდესაც დატვირთვა არის ცილინდრული ფორმის ინდუქტორი დიამეტრით d_2 , რომელიც ახორციელებს იმპულსურ მოჭერას d_1 დიამეტრის მქონე ღეროზე.

იდეალური განმუხტვის კონტურის მქონე გენერატორისათვის, როდესაც კონტურს პარაზიტული ინდუქციურობა და აქტიური წინაღობა არ აქვს ($L_3 = 0, R_3 = 0$), და სიხშირე იმდენად მაღალია, რომ დენს აქვს ზედაპირული ხასიათი, მაგნიტური ველი მთლიანად კონცენტრირებულია საჰაერო ღრეოში ინდუქტორსა და ღეროს შორის. საჰაერო ღრეოს მოცულობა არის $\pi(d_2^2 - d_1^2)/4$.

მივიღოთ, რომ ამ პირობებში კონდენსატორების ბატარეაში დაგროვილი ენერგია მთლიანად გადადის აღნიშნულ მოცულობაში (სურ. 2). მაშინ მაგნიტური ველის ენერგიის სიმკვერვე და შესაბამისად გამტარ ზედაპირზე განვითარებული მაქსიმალური წნევა იქნება



სურ. 2. ძლიერი იმპულსური მაგნიტური ველის გენერატორის დატვირთვა-ერთხეიანი ინდუქტორი შიგა d_2 დიამეტრით და დასაშუალებელი ღეროთი d_1 დიამეტრით

$$P_m = \frac{2CV^2}{\pi(d_2^2 - d_1^2)}, \quad (1)$$

სადაც C აქ და შემდგომ არის კონდენსატორის ბატარეის ტევადობა, l – ინდუქტორის სიმაღლე.

სინამდვილეში განმუხტვის კონტურს აქვს გარკვეული პარაზიტული ინდუქციურობა $L_3 = L_{კონ} + L_{კომ} + L_{შს}$ და მისი ეფექტურობა განისაზღვრება შემდეგი თანაფარდობით:

$$\eta = \frac{L_{ფ}}{L_{ფ} + L_{კონ} + L_{კომ} + L_{შს} + L_{ფ}}. \quad (2)$$

შესაბამისად, განმუხტვის კონტურის რხევების მუშა სიხშირე (იგულისხმება, რომ განმუხტვის პროცესს აქვს რხევითი ხასიათი) იქნება

$$f = \frac{1}{2\pi\sqrt{(L_{ფ} + L_3)C}}. \quad (3)$$

კონტურის საკუთარი რხევების სიხშირე დამოკლებული ინდუქტორით არის

$$f_0 = \frac{1}{2\pi\sqrt{L_3C}}. \quad (4)$$

მაშინ განმუხტვის კონტურის ეფექტურობა იქნება

$$\eta = \frac{L_{ფ}}{L_{ფ} + L_3} = 1 - \frac{L_3}{L_{ფ} + L_3} = 1 - \frac{f^2}{f_0^2} = 1 - x^2, \quad (5)$$

სადაც $x = \frac{f}{f_0}$ არის ფარდობითი სიხშირე, რომლის ვარირების დიაპაზონი $0 < x < 1$. შესაბამისად, ენერგია, რომელიც გადაეცემა დატვირთვას იდეალური ზრდაპირული ეფექტის დროს არის

$$(1 - x^2) \frac{CV^2}{2}. \quad (6)$$

